საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარტისიბაზე უსაძაგღესია.

სამშაბათი, 16 თებერვალი. 2016 წ. №29 (7921), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეს ნასვამ!

დავით ბაქრაძე:

ევროკავშირის დასმარება უფრო ხილული უნდა გახდეს მოსახლეობისთვის!

③

გავუფრთხილდეთ პანკისის ხეობას!

თავის გადასარჩენად ზოგჯერ ხავსსაც უნდა ჩაეჭიდო

⑥

დეპუტატი ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული და არა პარტიისა!

④

ნინო გვენეტაძემ პარლამენტს ლევან მურუსიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიმართა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პარლამენტს ლევან მურუსიძის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიმართა.

ჟურნალისტებთან საუბარისას გვენეტაძემ განმარტა, რომ, როდესაც მოსამართლ სხვა სასამართლოში ინიშნება, ძველ სასამართლოში უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება.

ეს არის ამაზრზენი დანაშაული

ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, — ამის შესახებ მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე აცხადებს. მისი შეფასებით, ეს არის „ამაზრზენი დანაშაული“ და, შესაბამისად, რეაგირება იქნება უმკაცრესი.

როგორც ცნობილია, მთავარმა პროკურატურამ მოქალაქე გელა ღურწკაია დააკავა. ღურწკაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 157-ე მუხლებით წაუყენეს, რაც პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება-გავრცელებას გულისხმობს.

ქართული სამხედრო მარში კონკურსით გამოვლინდება

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავთან დაკავშირებით ქართული სამხედრო მარშის შესაქმნელად კონკურსი გამოცხადდა. კონკურსი თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდება.

პროექტის პრეზენტაცია გუშინ ვაზიანში IV მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე შედგა.

რათა საზღვარი კარიბჭე ქვეყნისთვის მომგებიანი იყოს...

„ფაზისის“ საერო – სამეცნიერო აკადემიის პატრიოტული საქმეები

⑤



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა დღემდე ყველა დროის ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა შორის ქართული კულტურის ერთ-ერთი ტოლდაუდებელი დამაშვრალი კალმოსანი, აკადემიკოსი

ბაჩანა ბრეგვაძე

რომელიც თავისი უბადლო მრავალმხრივი ნაღვაწით სამუდამოდ დარჩება სამშობლოს ინტელექტუალურად გაძლიერების უებრო მაგალითად.

ასრეგს შემოდგომაზე დავითვლით...

⑨

რატომ იყინავენ ადამიანები თავს და როდის ელიან ისინი „მკვდრეთით აღდგომას“?

⑦

ანონსი

თქვენ ჯერ არ იცით, რა ვირისშვილებს ამოუდექით გვერდში!

ვინ აიღო აფხაზეთის მთავრობის სახლი?
შარბავას საბუთები და მგკიცებულებები, რომლებიც პირველად ქვეყნდება

იხილეთ ხვალის ნომერში

რასაც ჩვენს გაზეთში

ლეონიდ ჩერნოვეცკი გიორგი კვირიკაშვილს რჩევას აძლევს

პოლიტიკური მოძრაობის „ბედნიერი საქართველოსთვის“ ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ღია წერილით მიმართავს, სადაც საკრედიტო დავალიანებების გამო მოსახლეობის გამოსახლების პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. ჩერნოვეცკი აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის პრემიერს საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებას სთავაზობს. წერილს ,,ჯი-ეიჩ-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ღია წერილი ბატონ გიორგი კვირიკაშვილს!

ღრმად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

პოლიტიკური მოძრაობის „ბედნიერი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შემდგომ, მე, როგორც პარტიის ლიდერი, ამიერიდან საჯაროდ მოგმართავთ ქართულ საზოგადოებაში დაგროვილ მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც შეგიძლიათ თქვენ, როგორც ძალაუფლების მქონე პირს ერთპიროვნულად, ან კანონმდებლობის დონეზე.

პირველი საკითხი, რომლის წამოწევაც მინდა, არის საქართველოს მოსახლეობის უსინდისო გამოსახლება მათი საცოვრებლებიდან გადაუხდელი კრედიტების გამო! უკვე ათასობით ადამიანმა მომმართა სოციალური ქსელის მეშვეობით, რომლებმაც შეავსეს უსახლკარო მოსახლეობის ისედაც უზარმაზარი „არმია“! მათ ყოველდღიურად ყრიან ქუჩაში ბავშვებთან და მოხუც მშობლებთან ერთად. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

ცივილიზებულ ქვეყნებში ეს საკითხი შემდეგნაირად წყდება: ბანკებს ეკრძალებათ კრედიტების გაცემა ერთადერთი საცხოვრებლის უზრუნველყოფით და ეკრძალებათ მოქალაქეების ქუჩაში გაყრა.

მე გახლდით ბანკირი და უმსხვილესი ბანკის მესაკუთრე უკრაინაში. ეს ბანკი ათობით და ასობით კრედიტს უძრავი ქონების უზრუნველყოფით გასცემდა, მაგრამ მე არც ერთხელ არ დამიშვია კრედიტორის ქუჩაში გაგდება. ბანკში მოქმედებდა მკაცრი აკრძალვა ამ საკითხთან დაკავშირებით და მიუხედავად ამისა, ბანკმა შესანიშნავი ფინანსური შედეგები აჩვენა, რამაც საშუალება მომცა, 2008 წელს ის ევროპაში უმსხვილესი საფინანსო ჯგუფისთვის „ინტეზასანპაულოსთვის“ 750 000 000 ამერიკულ დოლარად მიმეყიდა!

ამავე დროს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს მოქალაქეების ქუჩაში გაყრის აკრძალვა ვერ დაანგრევს საქართველოს საბანკო სისტემას, მაგრამ ქვეყანაში უმთავრეს სოციალურ პრობლემას გადაჭრის! ამას არ ვამბობ, როგორც წარსულში ბანკირი, არამედ ამას გეუბნებით, როგორც უკრაინაში უმსხვილესი საბანკო კავშირის პრეზიდენტი!

ყურადღებით ვაკვირდები თქვენს პირველ ნაბიჯებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ბატონო გიორგი და ვხედავ თქვენს გულწრფელ სწრაფვას, უკეთესობისკენ შეცვალოთ სიტუაცია საქართველოში. ამიტომ იმედი მაქვს, მივიღებ დადებით პასუხს ჩემს ინიციატივაზე ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ!“, — ნათქვამია წერილში.

ირანელები დარწმუნდებიან, თუ რა პროგრესს მიაღწია საქართველომ

საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი ირანთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას გამოეხმაურა.

ფაქტის დადებით მხარეებზეც საუბრისას, ელჩმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ირანელებმა თავად იხილონ, თუ რა პროგრესს მიაღწია საქართველომ.

,,როგორც თქვენთვის ცნობილია, მეორე ტალღის სანქციები ირანთან მიმართებაში მოიხსნა. საქართველოს მთავრობა ხედავს საჭიროებას, რომ იყოს დაბალანსებული უსაფრთხოების საკითხები და ზუსტად ის თემა, რომ ქვეყანაში შემოვიდეს მეტი თანხა ტურიზმის შედეგად. ამავე დროს მნიშვნელოვანია, ირანელებმა თავად იხილონ, თუ რა პროგრესს მიაღწია საქართველომ, რომელიც წინ დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს“, — განაცხადა იან კელიმ.

საქართველო სხვადასხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებელია

საქართველო ძალიან დასაფასებელია თავისი შემწყნარებლობის გამო, რომელსაც იჩენს სხვადასხვა რელიგიის მიმართ, — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკის ელჩმა საქართველოში იან კელიმ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასებისას, რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

,,პირველად, როდესაც საქართველოში ჩამოვედი, ვესტუმრე მეტეხის ეკლესიას და მიმდებარე ეზოს, საიდანაც იხსნება ულამაზესი ხედი. აქ ვხედავ მართლმადიდებლურ ტაძრებს, ვხედავ სინაგოგებს, ვხედავ მუსლიმურ მეჩეთებს — ეს არის საქართველო, ასეთი შეგრძნება გამიჩნდა,“ — განუცხადა ჟურნალისტებს იან კელიმ.

მზიურში თანამედროვე სტანდარტების სასპორტო ცენტრი შენდება

ინვესტროთა გარკვეული ჯგუფი თანამედროვე სტანდარტების საჩოგბურთო ბაზის მშენებლობას იწყებს.

როგორც გაზეთ „პრაიმტაიმთან“ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე მეტრეველი განმარტავს, აღნიშნული ჯგუფი მზად არის, ჩოგბურთის ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს აბსოლუტურად უფასოდ დაუთმოს მოედანი.

„პროექტმა ნამდვილად დაიმსახურა მოწონება და სრული მხარდაჭერაც გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენ სპორტის სამინისტროს და ხელისუფლების მხარდაჭერა გვაქვს არა მხოლოდ ამ კონკრეტულ პროექტზე, არამედ, ზოგადად, ქართული ჩოგბურთის აღორძინების საქმეში, რაც, ცხადია, ძალიან სასიამოვნოა. ეს მართლაც, საშვილიშვილო საქმეა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის განვითარებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთ-ერთი ღირსეული ნაბიჯია ქართული სპორტის აღორძინებისთვის,“ — განაცხადა მეტრეველმა.

პროექტის ფარგლებში ჩოგბურთის ორი დახურული მოედნის, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების და სარბენი ბილიკების მშენებ-



ლობა იგეგმება. ტერიტორიაზე 100-120-ნომრიანი სპორტული ტიპის სასტუმრო აშენდება, რომლის მენეჯმენტსაც საერთაშორისო ოპერატორი განახორციელებს. დაემატება ორი საცურაო აუზი, სპა, სარეაბილიტაციო და სამკურნალო ცენტრი, ჯანსაღი კვების ობიექტი, ცნობილი სპორტული ბრენდის ექსკლუზიური მაღაზია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტერიტორიაზე ულტრათანამედროვე, ევროპული სტანდარტების ფიტნეს ცენტრი აშენდება, რომელსაც ოპერირებას მსოფლიოში ცნობილი, საერთაშორისო ოპერატორი Worl Class გაუწევს.

პროექტი წარმატებით დასრულდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სამი სოფლის — ზედა და ქვედა ნიქოზის, ასევე, ზემო ხვითის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დასრულა. პროექტის ღირებულება 3 მილიონ 400 ათასი ლარია და ის მსოფლიო ბანკმა დააფინანსა.

პროექტის დასრულების შედეგად 3000-ზე მეტი მოსახლე 24-საათიან წყალმომარაგებას მიიღებს. აღსანიშნავია, რომ სოფლები, ზედა და ქვედა ნიქოზი, ასევე, ზემო ხვითი ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებია.

პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა 5 ჭაბურღილი, ერთი რეზერვუარი, საქლორატორო და სატუმბი სადგური. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 39 კმ წყალმომარაგების ქსელს. მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიზნით, დამონტაჟდა 880 ცალი წყლის აღრიცხვის კვანძი.

საკვიზო რეჟიმი გაუქმდა - რა შეიძლება მივიღოთ ირანისგან?

ორწელიწადნახევრიანი შეზღუდვის შემდეგ საქართველო ირანისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმი გააუქმდა. საქართველო აქედან ეკონომიკურ სარგებელს ელოდება. პირველ რიგში, ეს ვაჭრობასა და ტურიზმში უნდა გამოჩნდეს.

უვიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა შეფერხდა. საქართველოში ირანის ელჩის მოადგილის მოჰსენ ქებრიაის განმარტებით, დაწესებულმა შეზღუდვამ ყველაზე მეტად სავაჭრო ბრუნვასა და ინვესტიციებზე მოახდინა გავლენა.

ახლა კი საქართველო-ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში სავიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად, საქართველოში მსხვილი ირანული საინვესტიციო პროექტების დაწყებას ვარაუდობენ და ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურებას ელოდებიან. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ირანისთვის საქართველოს ტრანზიტული ფუნქცია იყოს საინტერესო.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ტურისტული კომპანია „პროთრეველის“ დამფუძნებელი **მაია სიდამონიძე** კი ტურისტული ნაკადის გაზრდა მოელის და პარალელურად, პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენაზეც საუბრობს. მისი თქმით, სავიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ვიზიტორების რაოდენობა ირანიდან 70%-ით შემცირდა. უვიზო რეჟიმის შემდეგ საჭირო იქნება დამატებითი სამუშაოს ჩატარება იმისათვის, რომ ირანის მოქალაქეებმა საქართველოზე მიიღონ ინფორმაცია. საჭიროა გარკვეული ტიპის კამპანიების ჩატარებაც, რადგან ვიზიტორები გადაჩვეული არიან საქართველოს მიმართულებას. მეტად მნიშვნელოვანია პირდაპირი ავიარეისების აღდგენა, რადგან ძალიან მალე, ამ წლის ზაფხულშივე გამოჩნდეს შედეგი.

ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების დალაგება, მარტოოდენ ტურიზმსა და ვაჭრობას არ წაადგება. შესაძლოა, საქართველოსა და ირანს შორის ენერგეტიკული ხიდიც გაიდოს, რომელიც პირველ ეტაპზე ირანული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას გულისხმობს, ხოლო შემდეგ, ვინ იცის, ეგებ უფრო მასშტაბური პროექტის განხორციელებასაც.

საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი აბას თალები ფარი ამბობს, რომ ირანი მზად არის, საქართველოს მიაწოდოს გაზის საკმარისი მოცულობა როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე ტრანზიტისთვის ევროპაში. თეირანი ამ ნაბიჯით სხვა ქვეყნებთან კონკურენციაში არ შედის და მიაჩნია, რომ საქართველომ უნდა იმოქმედოს ქვეყნის ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების მოძიებას. ამჟამად მიმდინარეობს ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები და განიხილება რამდენიმე მარშრუტის ვარიანტი, თუ საიდან შეიძლება მიიღოს საქართველომ გაზი.

ირანიდან საქართველოსთვის გაზის მოწოდება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ორი გზით — აზერბაიჯანის, ან სომხეთის გავლით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურა შესწავლის პროცესშია.

ირანთან ენერგეტიკული ურთიერთობების გაღრმავებას ადასტურებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი. ის ამბობს, რომ ამ მოტივით, მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომის ფარგლებში, ირანთან პირველი სამუშაო შეხვედრა ჯერ შარშან შედგა, სადაც მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, თუმცა ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

მოლაპარაკებებზე ირანში ჩავიდა ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე. ამის ინტერესი აქვს ყველა ქვეყანას იმიტომ, რომ სომხეთს დღეს მიეწოდება ირანული გაზი. სანქციების გაუქმების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დაინტერესდება დასავლეთიც ირანული რესურსის მობილიზაციით თავისი ბაზრისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, დაინტერესებულნი ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ამ პროცესში. მეორე საკითხია იმ დეფიციტის შევსება, რომელიც შეიძლება დაგვიდგეს დღის წესრიგში. კონკურენტული ფასის პირობებში, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ, თუ ეს წინადადება კომერციულად მისაღები იქნება და ტექნიკური შესაძლებლობები მოგვცემს შესაძლებლობას, გარკვეული ვაჭრობის პერსპექტივებიც დავხატოთ“, — აცხადებს ვალიშვილი.

ირანთან უვიზო რეჟიმი ორშაბათიდან აღდგა. აქედან მიღებული პირველი ეკონომიკური შედეგი უკვე წლის ბოლოს დაითვლება.

გეძა დანელია

ევროკავშირის დახმარება უფრო ხილული უნდა გახდეს მოსახლეობისთვის!

გვესაუბრება ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
დავით ბაქრაძე

— ბატონო დავით, ჩვენს ქვეყანაში არავინ დავობს იმაზე, რომ საქართველოს ევროპაში დაბრუნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება, მაგრამ ვართ თუ არა ამისთვის მზად დემოკრატიის არსებული დონით? საკმარისი კეთდება თუ არა, თქვენი შეფასებით, იმისთვის, რომ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, ასევე პოლიტიკური კულტურის დონემ ქვეყანაში აიწიოს? კიდევ რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით?

— ევროპა ჩვენთვის არა მარტო ისტორიული არჩევანია, არამედ გეოპოლიტიკური ამბიციაც. ეს არის ჩვენი სახლიც და ამავე დროს გზაც, რომლითაც უნდა დავბრუნდეთ ამ სახლში. ამ თემაზე ჩვენი ოფისის ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოიცა ესეების კრებული. წიგნში ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა სფეროში (მწერლობა, პოეზია, ხელოვნების სხვა დარგები, კანონშემოქმედებითი მუშაობა თუ სხვა) საქართველოსა და ევროპაში ტენდენციები პარალელურად ვითარდებოდა, ევროპული მიმდინარეობები ყოველთვის ახდენდნენ გავლენას ქართულზე და ქართულსაც (აქ ვგულისხმობ საქართველოს და მასში მცხოვრებ ხალხებს) წვლილი შეჰქონდა ევროპულში. შემდეგ 100 წელზე მეტი დროით, სამწუხაროდ, მოვწყდით ამ კულტურას, არადა, სწორედ ამ პერიოდში ევროპა ყველაზე სწრაფად განვითარდა და იქცა ერთ–ერთ ყველაზე უსაფრთხო, განვითარებულ საზოგადოებად. შესაბამისად, დღეს უკვე აღარ არის საკმარისი მხოლოდ კულტურული თუ ისტორიული სიახლოვე, რომ საქართველო ევროპულ სახელმწიფოდ ჩავთვალოთ. სწორედ ამისთვის გვჭირდება ინსტრუმენტები, რომლებიც გაგვაჩნია — ასოცირების შესახებ შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, ასევე ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე დამასრულებელ სტადიაშია. დღეს ჩვენ გვაქვს ათწლეულების განმავლობაში ევროპაში კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს და ა.შ მიღწევისთვის მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის კრებული, რომელიც ვცდილობთ, თანდათან ჩვენს რეალობაში დავნერგოთ და ამით უზრუნველვყოთ ის მთავარი და ძირეული, რითაც დღეს ევროპა ამაყობს — კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, დემოკრატიის მაღალი ხარისხი... დღეს გვყავს ძალზე მოტივირებული ხელისუფლება, რომ მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, მგრძნობიარე რეფორმებისა, პრინციპულად ვიდგეთ ამ გზაზე და ზედმიწევნით ვასრულებდეთ მთავარ დოკუმენტებს, რომელთა იმპლემენტაცია აქცევს საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ.

— რამდენად უწყობს ხელს ქვეყნის ინტერესებს მთავრობის თეზა იმის შესახებ, რომ საქართველო არ უნდა ყოფილიყო „განნეთქილების ვაშლი“ დასავლეთსა და რუსეთს შორის? რამდენად გაამართლა რუსეთისადმი ასეთმა მიდგომამ? ხომ არ თვლით, რომ დადგა დრო, ეს მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალოს და უფრო რეალისტური და პრაგმატული სტრატეგია შეიმუშავდეს?

— ვთვლი, რომ ეს იყო სწორი და წარმატებული პოლიტიკა. სწორედ ამან უზრუნველყო ის, რომ ჩვენ დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე გავაგრძელეთ წინსვლა (დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორებში ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, წლების განმავლობაში იყენებდა სხვადასხვა საშუალებებს — ეკონომიკურ წნეხს, ჰიბრიდული ომის წარმოების სხვადასხვა ფორმებს, კიბერ შეტევებს და ა.შ., დღესაც აწარმოებს მცოცავ ანექსიას, რომლითაც ცდილობს, ევროპული ინტეგრაციის პროცესი შეაჩეროს; მის მიერ აღიარებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა და გაფორმებულია მათთან ხელშეკრულებები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევას; რუსეთი ცალმხრივად არღვევს 2008 წლის 6-პუნქტიან სამშვიდობო შეთანხმებას), გავაგრძელეთ ევროპული ინტეგრაციის პროცესი. გარდა ამისა, იმ პრაგმატული და კონკრეტული ინტერესების კუთხით, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობის თუ ჰუმანიტარული ურთიერთობების კონტექსტში, პრობლემები გადაჭრის პროცესშია, რაც, ერთი მხრივ, მოქალაქეების ამ ინტერესს პასუხობს და ამავე დროს, არ „ითარგმნება“ პოლიტიკურ ინტერესში ჩრდილოელ მეზობელთან უფრო მჭიდრო კავშირის თვალსაზრისით.

— ბოლო პერიოდში ევროკავშირი გააქტიურდა რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით. საუბარი იყო, მათ შორის, რუსულენოვანი ტელეარხების შექმნის აუცილებლობაზე. საქართველოში კი, მოგეხსენებათ, ასეთი არხი — „პიკი“, პირიქით, დაიხურა. თვლით თუ არა საჭიროდ რუსულენოვანი არხის გახსნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების თვალსაზრისით?

— არა მხოლოდ საქართველოში ან მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც ანტიდასავლური პროპაგანდა ძალიან ინტენსიურად არის ამოქმედებული. სწორედ აქედან გამომდინარე შევქმენით სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი. ასევე გვაქვს საინფორმაციო ცენტრი ევროკავშირისა და ნატოს შესახებ, რომელიც უკვე 10 წელია, ფუნქციონირებს და მარტო შარშან 400-მდე შეხვედრა ჩაატარა. ჩვენი მიზანია, ემოციური მხარდაჭერა ევროკავშირისა თუ ნატოს მიმართ მაქსიმალურად გავაძლიეროთ ცოდნაზე დაფუძნებული, გააზრებული მხარდაჭერით, რომლით მანიპულირებასაც ასეთი პროპაგანდისტული მანქანებით ვეღარ შეძლებენ. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. ჩვენი მიზანია, როგორც გეოგრაფიულად, ისე თემატურად სრული სურათი გვქონდეს იმისა, რამდენად არის „დაფარული“ ამ მხრივ საქართველო. ამ მიზნით გამოიყენება როგორც საინფორმაციო საშუალებების, ისე არასამთავრობო სექტორის ხელთ არსებული პროექტებიც. რაც მთავარია, ჩვენ პირველივე დღიდან გვაქვს კომუნიკაცია ისეთ სტრუქტურებთან, როგორიც არის ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრი რიგაში, ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის და სხვა. მათთან ერთ-ერთი პირველები ჩვენი შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელები ჩავიდნენ და მას შემდეგ სისტემატურად გვაქვს მჭიდრო კომუნიკაცია. ამ ქსელში ჩვენ მოლდოველებთან, უკრაინელებთან ერთად, პარალელურ რეჟიმში ვაწარმოებთ ჩვენი კამპანიის კორექციას, რათა მაქსიმალურად ეფექტურად დავფაროთ არეალი. დღეის მდგომარეობით, რამდენიმე პროექტი დამუშავების სტადიაშია. ჩვენი ვიდეორგოლი ასოცირების შესახებ დღესაც ტრიალებს ყველა ტელევიზიის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფინანსური რესურსი შეზღუდულია სარეკლამო დროის შეძენის კუთხით. ამის გათვალისწინებით, ამ რგოლს სოციალურის სტატუსი მიენიჭა და ჩვენთან ამ კუთხით აქტიურად ითანამშრომლა ყველა მედიასაშუალებამ. ეს ჩვენი მომავალი თანამშრომლობისთვისაც კარგ საფუძველს ქმნის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი დატვირთვა მოდის, რა თქმა უნდა, დიპლომატიურ კორპუსზეც.

რაც შეეხება რუსულენოვან ტელევიზიას, ამაზეც ვფიქრობთ პარალელურად. ისეთი რუსულენოვანი არხი, რომელიც პოზიტიურ გზავნილებს მიიტანდა საქართველოს ლინგვისტური უმცირესობებით დასახლებული და, რაღა თქმა უნდა, ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობამდე, ერთ-ერთი საიმედო ინსტრუმენტია, ამიტომაც ეს საკითხიც განიხილება.

> **ჩვენ რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ, რა ინტერესი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობას ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში, ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს ძალიან კონკრეტულ, პრაგმატულ სურვილებთან და თუ ეს პრაგმატული სურვილები დაკმაყოფილებულია, პოლიტიკური არჩევანი მკაფიოა: საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობა ევროინტეგრაციის მომხრეა.**

— რა გავლენას ახდენს რუსეთის ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკა კავკასიის რეგიონსა და უშუალოდ საქართველოზე? რამდენად რეალისტურად აფასებს ჩვენი ხელისუფლება ამ გამოწვევას ქვეყანაში რუსული პროპაგანდის გაძლიერებისა და საზოგადოებაში პრორუსული განწყობების გარკვეული ზრდის ფონზე? რა კეთდება ამ კუთხით, რამდენად საკმარისია და კიდევ რა უნდა გაკეთდეს, თქვენი აზრით?

— საქართველოში პრორუსული განწყობის მატებას ვერ დაგიდასტურებთ.

— თუმცა ბოლო კვლევებმა ამ პრობლემის არსებობა წარმოაჩინა...

— კვლევის შეფასებას უფრო სიღრმისეული ანალიზი სჭირდება და მე მქონდა ამის შესაძლებლობა მის ავტორებთან ერთად. აღმოვაჩინეთ, რომ ის ერთმნიშვნელოვნად მარტივი, შავ-თეთრი სურათი, რომელიც იყო წარმოდგენილი კვლევის შედეგებში, არ ასახავდა რეალურ განწყობებს. გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტებს მხოლოდ თეთრს და შავს — ევროკავშირის და ევრაზიული კავშირის ალტერნატივებს სთავაზობდნენ და ეს — იმ ფონზე, რომ არ არის მკაფიოდ ასახული სურათი იმისა, რომ ქვეყანა მიდის ევროკავშირისკენ ინტეგრაციის კურსით და ამის პარალელურად იქმნება გარკვეული შესაძლებლობები რუსეთთან პრაგმატული დიალოგის ფონზე, თუნდაც ვაჭრობის მიმართულებით. ჩვენ რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ, რა ინტერესი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობას ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში, ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს ძალიან კონკრეტულ, პრაგმატულ სურვილებთან და თუ ეს პრაგმატული სურვილები დაკმაყოფილებულია, პოლიტიკური არჩევანი მკაფიოა: საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობა ევროინტეგრაციის მომხრეა. თუ ადამიანს, რომელსაც ძალიან პრაგმატული სურვილები აქვს ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში და ამის გამო აფიქსირებს კვლევის დროს ასეთ პოლიტიკურ არჩევანს, ვაჩვენებთ, რომ რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობებით თანდათანობით შევძლებთ მისი ამ სურვილების დაკმაყოფილებას, ბაზარი ხელმისაწვდომი გახდება და შეიძლება, გამარტივდეს ურთიერთობები, რაც რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ათასობით მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მისი ეს პრაგმატული სურვილი აღარ იქნება მსგავსი პოლიტიკური არჩევანის გამომწვევი და ვნახავთ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი არჩევანს სწორედაც რომ ევროკავშირის სასარგებლოდ აკეთებს.

სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, სწორად და ფართოდ მივაწოდოთ მოსახლეობას ინფორმაცია, ერთი მხრივ, რუსეთისადმი ჩვენი პრაგმატული პოლიტიკის სარგებლისა და, მეორე მხრივ, იმ სიკეთეების შესახებ, რომელიც გააჩნია სადღეისოდ ყველაზე მაღალი მსყიდველუნარიანობის მქონე და ყველაზე სტაბილურ ევროპულ ბაზარს პოტენციალში საქართველოსთვის, ამის პარალელურად ფართოდ გავაცნოთ საზოგადოებას ევროკავშირის დახმარება. ამ ყველაფრის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და სამომავლო სიკეთეების გააზრების შემთხვევაში, მერწმუნეთ, იმ მცირე ნაწილსაც კი, რომელიც დღეს შესაძლოა, სხვა პოლიტიკურ არჩევანს აკეთებდეს, გაუფერმკრთალდება და გაუქრება ევრაზიული კავშირისადმი ინტერესი.

— ევროკავშირის ქვეყნებშიც ბოლო პერიოდში აშკარად აცნობიერებენ რუსული პროპაგანდის საფრთხეს. დასავლეთს გაცნობიერებული აქვს ისიც, რომ ამ მხრივ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა რუსეთისთვის სამიზნეებს წარმოადგენენ. თუ არსებობს ევროსტრუქტურების მხრიდან შემოთავაზებული რაიმე ინიციატივები და კონკრეტული პროექტები საქართველოში რუსული პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გასაწევად?

— არის არაერთი ფონდი და შესაბამისი ცენტრი, რომელთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობთ არაფორმალურ ვითარებაში. ჩვენს ძირითად პარტნიორებთან გვაქვს აქტიური კომუნიკაცია. სტრატეგიული კომუნიკაციის კუთხით გვყავს რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც აქტიურად გვეხმარება შესაბამის პროექტებში და, რა თქმა უნდა, ევროკავშირსაც აქვს განსაკუთრებული ინტერესი, ყველა პროექტი, რომელიც მის მიერ განხორციელდება, კიდევ უფრო მეტად ხილული იყოს მოსახლეობისთის. ამაში ჩვენს კონტრიბუციასაც ვახორციელებთ. მაგალითად, დაწყებულია გადაღება დოკუმენტური ფილმისა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან დღემდე როგორ თანმიმდევრულად ეხმარებოდა ევროკავშირი ჩვენს ქვეყანას და რა სფეროებში, რათა არ იყოს არასწორი წარმოდგენა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ძირითადი დონორები არიან აშშ, ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია და მისი წევრი ქვეყნები.

იგივეა ნატოსთან დაკავშირებულ პროექტებშიც — იქაც არის სტრატეგიული კომუნიკაციის კომპონენტი, თუმცა იქ დამატებითი სპეციფიკა აქვს კომუნიკაციას, შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობას თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს.

ესაუბრა
გვანცა ფიფია

დეპუტატი ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული და არა პარტიისა!

ROGORI უნდა იყოს არჩევნები: პროპორციული თუ მაჟორიტარული? ეს კითხვა არახალია. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაისვა, როდესაც 1990 წ. 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული „პარტიების“ ლიდერებმა, თავიანთი „ლოკომოტივებით“, პარლამენტი გაავსეს საზოგადოებისათვის უცნობი, შემთხვევითი ადამიანებით, ცნობილები და ღვაწლმოსილები (აკაკი ბაქრაძე, ვალერიან ადვაძე, მერაბ მამარდაშვილი და სხვები) კი პარლამენტში ვერ მოხვდნენ. გამარჯვებული პარტიის ლიდერმა ქართველ ინტელიგენციას „კრემლის აგენტის“ იარლიყი მიაკრა, რომ „ერის ბელადი, სარდალი“ (ვაჟა-ფშაველას განსაზღვრებაა) გზიდან ჩამოეცილებინა და ერთპიროვნულად „ემართა“ არა მარტო მთავრობა, არამედ პარლამენტიც, რითაც დაღუპა საკუთარი თავიც და ქვეყანაც.

პარტიულ-პროპორციული სისტემა საშუალებას აძლევს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს, ხალხის გვერდის ავლით, ხელისუფლებაში მოიყვანოს თავისთვის სასურველი ადამიანები, რომლებიც დამოკიდებული ხდებიან პირადად მასზე და არა ხალხზე.

ხსენებული არჩევნები მაჟორიტარული სისტემით რომ ჩატარებულიყო, ხალხს საშუალება ექნებოდა, პარლამენტის წევრებად აერჩია ცნობილი პიროვნებები (მწერლები, მეცნიერები და ა.შ.), რომლებიც იღვაწებდნენ ქვეყნის სასიკეთოდ და არა პარტიის ლიდერის საამებლად, რაც გადაარჩენდა ლიდერს „ჩაუშესკუს“ დაძახებისაგან და დამხობისაგან, ხოლო ქვეყანას — სამოქალაქო ნგრევისაგან.

ამიტომ ამბობდა ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე ავთანდილ საყვარელიძე გაზეთ „კომუნისტის“1990 წ. 17 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში, **ვოცნებობ პიროვნებების პარლამენტზეო.**

პიროვნებების პარლამენტი კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით შეიძლება აირჩეს და არა პროპორციული სისტემით.

პროპორციული თუ პარტიული სისტემით შეიძლება აირჩეს მთავრობა, რამდენადაც მას ხმაშეწყობილი მუშაობა სჭირდება, რომ მისი მინისტრები კრილოვის იგავის გმირებს („Лебедь, рак да щука“) არ დაემსგავსონ და მინისტრი არ ანგრევდეს იმას, რასაც პრემიერ-მინისტრი აშენებს.

ასეთ ვითარებასთან გვქონდა საქმე, მაგალითად, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობაში, როდესაც პრემიერ-მინისტრი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობდა (გაიხსენეთ მისი სიტყვა, პრეზიდენტ პუტინის მყისიერ ვიზალიბერალიზაციას „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი“ რომ უწოდა, რაც საბედისწერო გაუხდა), თავდაცვის ვაიმინისტრი კი, კუჭაშლილი ხარივით, რუსეთისათვის დასამიზნებელი რაკეტების საყიდლად პარიზში დარბოდა და, „ვოშინგტონის“ საამებლად, ლენინგრადის ბლოკადაგადატანილ რუსებს „კატიჭამიებსა“ და „ვირთხაჭამიებს“ უწოდებდა!

„ჰამე, თავში არ აქვს ჭკუა, აი, კიდევ გიჟვრაცუა!“.

მაგრამ მდგომარეობა „გამოსწორდა“: ირაკლი ღარიბაშვილი გიორგი კვირიკაშვილმა შეცვალა. ახალმა პრემიერ-მინისტრმა თავის პირველ სიტყვაში (პირველი სიტყვა კი მნიშვნელოვანია) წინამორბედის „გადადგომის“ მიზეზიც გაამჟღავნა და თავისი „დადგომისაც“: **„კადრების ჩვენება საშინელება იყო!“**

კადრები ღარიბაშვილმა აჩვენა. უცხოელი ელჩები და ქართველი ჟურნალისტები იძულებული იყვნენ, ენახათ, „არასამთავრობოები“ კი დარბაზიდან გაიქცნენ, რომ ეს „საშინელება“ არ ენახათ!

თომას ჰამერბერგი, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი „სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში“, სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში, რომ ღარიბაშვილს ეს კადრები სასწრაფოდ გაენადგურებინა და პროკურატურისათვის არ გადაეცა!

კახა კახიშვილი ბევრს ეცადა, რომ კადრები დალუქულიყო და არ განადგურებულიყო, მაგრამ ეს, ჰამერბერგის აზრით (გიგაურის, ლომჯარიას და დარბაზიდან გაქცეული სხვა „უფლებადამცველების“ აზრებზე აღარ არის საუბარი), ადამიანის უფლებების დარღვევა იქნებოდა!

ღარიბაშვილი „ხისტი“ იყო და ფეხს ვერ უწყობდა „კოჰაბიტაციას“. კვირიკაშვილი კი „ხისტი“ არ არის და, ჩანს, ფეხსაც უწყობს და ხელსაც. მან, ფაქტობრივად, იგივე თქვა, რაც ადრე თინამ: რომ „საშინელება“ იყო კადრების ჩვენება (შეკვეთა — ეგ ჰეჩ!). ანუ იგივე, რაც სხვა სიტყვებით თინას ქმარმა: რომ საჭიროა კადრების შემკვეთთა „გადარჩენა“! ამ უკანასკნელებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელისუფლებაში დაბრუნების თუ არა, პარლამენტში დარჩენის საშუალება მაინც ხომ უნდა მიცეთ?! არადა, არჩევნები კარზეა მომდგარი!

მთავრობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეთანხმებული მუშაობა სჭირდება. ამიტომ

> **პარტიულ-პროპორციული სისტემა საშუალებას აძლევს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს, ხალხის გვერდის ავლით, ხელისუფლებაში მოიყვანოს თავისთვის სასურველი ადამიანები, რომლებიც დამოკიდებული ხდებიან პირადად მასზე და არა ხალხზე.**

ან თინა და მისი ქმარი უნდა გადამდგარიყვნენ, ან — ღარიბაშვილი. ცოლ-ქმარი ხომ არ გადადგებოდა და, ადგა და ღარიბაშვილი გადადგა. მაგრამ საქმე აქ ღარიბაშვილში არ არის. საქმე ის არის, რომ მას პრემიერ-მინისტრი ერქვა, პრემიერ-მინისტრის გადადგომა კი, წესით, მთავრობის გადადგომას იწვევს. ასეა ყველა ქვეყანაში. იგივე ხდება კოალიციის ლიდერის გადადგომის შემთხვევაშიც: კოალიცია იშლება და ახალი არჩევნები ინიშნება. აქ კი, პრემიერ-მინისტრიც გადადგა, კოალიციის ლიდერიც (ალასანია), მაგრამ არც მთავრობა დაშალა, არც — კოალიცია!

დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე ჩიოდა: **„მთავრობაში კოორდინაცია არ არის, პრემიერს რა ფუნქცია აქვს, გაურკვეველია. მინისტრი რომ პრემიერის დავალებას არ შეასრულებს, ამას რა ჰქვია?“** („საქართველო და მსოფლიო“, 24-30.12.2015).

ჰოდა, იქნება ეხლა კოორდინაცია!

მთავრობაში რომ კოორდინაცია საჭიროა, ეს უდავოა. მაგრამ მინისტრი უნდა ეკოორდინირებოდეს პრემიერ-მინისტრს და არა პირიქით. ასეც იქნებოდა, ღარიბაშვილს რომ თვითონ შეედგინა მინისტრთა კაბინეტი და ესტაფეტასავით არ მიეღო იგი ივანიშვილისაგან! თუმცა, ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ კვირიკაშვილი „ხისტი“ არ არის და თანხმობით იმუშავებს თინასთანაც, თინას ქმართანაც, ავლაბრის რეზიდენტთანაც, „ქინძებთანაც“ და „გირჩებთანაც“.

ამრიგად, პარტიულ-პროპორციული სისტემით შეიძლება არჩეულ იქნეს მთავრობა, მაგრამ არამც და არამც პარლამენტი. მთავრობა და პარლამენტი განსხვავებული საგნებია და განსხვავებული სისტემით არჩევა სჭირდებათ.

მთავრობა ხელისუფლების ორგანოა, პარლამენტი — ოპოზიციის ორგანო. ოპოზიცია ხალხს გულისხმობს. ხალხი არის ხელისუფლების უშუალო ოპონენტი, პარლამენტი კი, როგორც ხალხის წარმომადგენლობა, — ხელისუფლების გაშუალებული ოპონენტი.

გაშუალება ანუ ხალხის მიერ თავისი ძალაუფლების პარლამენტისთვის გადაცემა დემოკრატიის მთავარი პრინციპია. დემოკრატია „ხალხის ძალაუფლებას“ ნიშნავს, მაგრამ ხალხის უშუალო ძალაუფლება ოხლოკრატიაა და არა დემოკრატია. ოხლოკრატიის წესი გაუსამართლებლად დასჯა ანუ ლინჩია, დემოკრატიის წესი — სასამართლო და გასამართლება.

დემოკრატიის მიზანი სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებაა, სამართლებრივი სახელმწიფოს მექანიზმი კი პარლამენტია. მისი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ფუნქცია ის არის, რომ აიძულოს მთავრობა, დაემორჩილოს კანონს და ამით დაიცვას ხალხი მთავრობის თვითნებობისაგან. მთავრობის თვითნებობას ამ ქვეყნად ვერაფერი ზღუდავს კანონის მეტი, რომელიც მთავრობისთვის ლაგამის ამოდების საუკეთესო საშუალებაა. ზოგადად კი, კანონი არის ხალხის „კოლექტიური ხელშეკრულება“ (ჟან-ჟაკ რუსო) ერთმანეთის უფლებების ცნობისა და ურთიერთპატივისცემის შესახებ.

პარლამენტი ხალხის დეპუტაციაა და ყოველ დეპუტატს ხალხი პერსონალურად უნდა იცნობდეს. პარლამენტარი ანგარიშვალდებული უნდა იყოს თავისი ამომრჩეველი ხალხის წინაშე და არა პარტიის ლიდერის წინაშე. ამიტომ ეწოდება პარლამენტარს ხალხის (და არა პარტიის) წარმომადგენელი.

პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენელის, ფუნქცია მთავრობის მუშაობის გაკონტროლებაა. იმის გაკონტროლება, თუ როგორ აღასრულებს იგი ხალხის მიერ მისთვის მიცემულ დავალებას, ანუ მის მიერ ხალხისათვის მიცემულ დაპირებას.

ამ გაგებით, მთავრობა ხალხის მსახურია, პარლამენტი კი მსახური არ არის, იგი თვით ხალხია, მისი ნაცვალი, მისი წარმომადგენელი, მისი დეპუტაცია.

ამბობენ, ხალხმა უნდა აკონტროლოს მთავრობაო. მაგრამ ხალხს ბერკეტები არა აქვს. ხალხის „ბერკეტები“ ქუჩის აქციები და დემონსტრაციებია, რასაც მთავრობები დარბევებით პასუხობენ. პარლამენტს კი იგი ვერ დაარბევს.

პარლამენტი, რა თქმა უნდა, მაინც „სხვისი ხელია“ და, ნათქვამია, სხვისა ხელმა ხელი დაასვენა, გული არაო. ამიტომ იდეალური იქნებოდა, ხალხს უშუალოდ თვითონ გაეწია ოპონირება მთავრობისთვის და საჭირო არ გამხდარიყო მისი პარლამენტით გაშუალება. მაგრამ ხალხს არ შეუძლია, ორგანიზებული ოპონირება გაუწიოს ხელისუფლებას. ხალხი არის არაორგანიზებული ოპოზიცია, პარლამენტი — ორგანიზებული ოპოზიცია.

ამიტომ წერდა თქვენი მონა-მორჩილი გაზეთ „მამულის“ 1992 წ. ივლისის მე-12 ნომერში: **„რომელი საარჩევნო სისტემა სჯობია — პროპორციული თუ მაჟორიტარული? ეს დაახლოებით იგივეა, ვიკითხოთ, რომელი ტრანსპორტი სჯობია — თვითმფრინავი თუ ტრამვაი? უკეთესია ის, რომელიც დასახულ მიზანთან მიგიყვანს: სადაც თვითმფრინავით მიხვალ, ტრამვაით - ვერა, ხოლო სადაც ტრამვაით, თვითმფრინავით — ბოდიში!**

არჩევნებიც ასეა: საარჩევნო სისტემის უპირატესობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ირჩევ — მთავრობას თუ პარლამენტს. ისინი კი განსხვავებული საგნებია და განსხვავებული სისტემით არჩევა სჭირდებათ“.

ამ თვალსაზრისით, სავსებით ვიზიარებ „ქართული მისიის“ ხელმძღვანელის გია კორკოტაშვილის იდეას და მოწოდებას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ადამიანებმა დეპუტატობის კანდიდატებად შეარჩიონ თავ-თავიანთ სოფლებსა თუ უბნებში სანდო და უღალატო ადამიანები, რომლებიც არჩევის შემთხვევაში ანგარიშვალდებული იქნებიან უშუალოდ მათ წინაშე. ასეთი ადამიანებით დაკომპლექტებული პარლამენტი იქნება ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობის ორგანო.

ომარ ხახაშვილი,
12.02.2016

◎ ინფორმაცია

ვენეციის კომისიის დასკვნა მარტის შუა რიცხვებში გამოქვეყნდება

საქართველოს „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის დასკვნა მარტის შუა რიცხვებში გამოქვეყნდება.

ვენეციის კომისიის წარმომადგენელმა მანუელ გონსალეს ოროპეზამ ჟურნალისტებთან ასევე განაცხადა, რომ ოპოზიციის მოსაზრების მიუხედავად დასკვნა უფრო ადრე ვერ გამოქვეყნდება. მისი განმარტებით, სესიის თარიღი დადგენილია — ვენეციის კომისია წელიწადში ოთხჯერ მართავს მსგავს სხდომებს და მას არ შეუძლია სპეციალური სესიის მოწვევა საქართველოს „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შესაფასებლად.

„ჩვენც გვჭირდება დრო. დელეგაციის შემადგენლობაში სამი წევრი ვართ. როგორც კი გვექნება მოსაზრება, უკვე 60 ქვეყნის წარმომადგენლები განიხილავენ მას“, — განაცხადა გონსალეს ოროპეზამ.

ვენეციის კომისიის დელეგაციამ თბილისში შეხვედრები გუშინ დილიდან დაიწყო. ექსპერტებმა აუდიენცია უკვე გამართეს ცესკოში, ასევე შეხვდნენ ენმ-სა და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს. მათ ვენეციის კომისიის წევრებსა და ეუთოს ექსპერტებს წერილის სახით ოფიციალური მიმართვა გადასცეს, სადაც, მათი თქმით აღნიშნულია, რომ ცესკო რაიონულ წარმომადგენლობებში ახალ თანაშრომლებს პარტიული ნიშნით არჩევს.

საარჩევნო კომისიის ყოფილი თანამშრომელი ნენე დალაქიშვილი აცხადებს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ახლად არჩევა კანონის სრული უგულებელყოფით მოხდა.

◎ მამულიშვილობა

რათა საზღვაო კარიბჭე ქვეყნისთვის მოგებიანი იყოს...

„ფაზისის“ საერო - სამეცნიერო აკადემიის პატრიოტული საქმეები

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო კერა „ფაზისის“ აკადემია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი რიტორი, ფილოსოფოსი და მეცნიერი დაუფლებია ფაზის- ქალაქის აკადემიაში განათლებას და თავიანთ ჩანაწერებშიც სიამაყით უხსენებიათ, რომ განსწავლულობა უძველესი კოლხეთის ამ აღიარებულ აკადემიაში ჰქონდათ მიღებული. ამჟამად „ფაზისის“ საერთო-სამეცნიერო აკადემიას თავკაცობს მისი პრეზიდენტი, ყველასათვის ცნობილი პიროვნება ნუგზარ ნადარაია. ბატონი ნუგზარი და აკადემიის წევრები ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი ქვეყნის კულტურული, სამეცნიერო მიღწევების წარმოჩენის, უამრავი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრის, უკეთესი მერმისისკენ გზის გაკვალვის დიდ მამულიშვილთა პატივგების, მეცნიერების, ხელოვნების დარგში მიღწევების პროპაგანდისთვის.

„ფაზისელები“ ყოველი წლის დასაწყისში შობა-ახალი წლის დღეებში ტრადიციულად სტუმრობენ მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. ესაა ერთგვარი ანგარიში წინა წელს გაწეული საქმიანობისა, რაც „ფაზისელებს“ დაუგეგმავთ და უწმინდესის ლოცვა-კურთხევით განუხორციელებიათ კიდეც. თავად უწმინდესიც „ფაზისის“ აკადემიის საპატიო პრეზიდენტი გახლავთ და ერის კეთილდღეობისთვის თავგადადებულ ადამიანთა სტუმრობა ყოველთვის ახარებს. **„ჩვენს მიწიერ გადაცდომებს, ნიჭსა თუ უნიჭობას, ერთი კაცი უვლის, ყველას ცოდვებს თავის თავზე იღებს, ისაა ღმერთსა და კაცს შორის შუამავალი, ერთიან ღვთის სიტყვით მოსაუბრე, სიმბოლო ორთავსოფლის წინაშე ვალმოხდილისა. იგი გვახსენებს ცხოვრების აზრს — როგორ ვიღვაწოთ სამშობლოს სულიერი და ეკონომიკური აღორძინებისათვის“.** — ასე სწამთ „ფაზისელებს“ და სწორედ ამ გზით მიდიან ისინი ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად.

პრობლემები ვახსენეთ და დღევანდელ საქართველოში გასაკეთებელი, ასაშენებელი, დასანერგი ძალზე ბევრია. აკადემიის წევრებმა ერთ-ერთ პირველ პრობლემად საქართველოს საზღვაო კარიბჭის — ფოთის პორტის აღდგენის საქმე დაისახეს მიზნად და სწორედ ამ მამულიშვილური, ქვეყნისთვის მეტად სასიკეთო საქმისთვის დაირაზმნენ კიდეც. მათ გადაწყვიტეს, შეხვედროდნენ ფოთელ სპეციალისტთა ჯგუფს, ეს თავყრილობა მართლაც „შეხვედრა შეხვედრისათვის“ არ ყოფილა. ვინ, თუ არა ფოთელებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზღვაო კარიბჭე და ყველაზე კარგად უკეთ მათ იციან, თუ რა გზებით შეიძლება იმ პრობლემების გადაჭრა. პირველი და ყველაზე მთავარი ახალი ნავსადგურის მშენებლობაა. მიჩნეულია, რომ საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო, მათ შორის საზღვაო პორტები როგორც ეკონომიკურად, ასევე ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ევროპულ სტანდარტებს. სწორედ ესაა მიზეზი დაბალი კაპიტალდაბანდებებისა და ინვესტიციების მოზიდვისა.

ახალი ნავსადგურის მშენებლობის შესახებ დეტალურად ისაუბრა ამ საკითხებზე მომუშავე ფოთელი სპეციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფოთის ნავსადგურის ყოფილმა ინჟინერმა, „ფაზისის“ აკადემიის წევრმა **ჯემალ გერსამიამ.** საჭიროა აკვატორიის შემოსასვლელის მოწესრიგება. მდინარე რიონის შესართავის — დელტას წყალქვეშა ნაწილი განუწყვეტლივ მიიწევს წინ, საშუალოდ წელიწადში 1 მეტრით, რაც აფერხებს პორტში გემების შესვლას. იჯარით გაცემული მისადგომები სავალალო მდგომარეობაშია, საჭიროა ღრმაწყლიანი ნავსადგურის აშენება, რის შემდეგაც პორტში შესაძლებელი გახდება დიდი წყალწყვის მქონე ტრაილერებისა და კონტეინერმზიდების მიღება. ამით კი გადაიჭრება ქალაქის ეკოლოგიური და ტექნიკური პრობლემები, ამუშავდება სამრეწველო ორგანიზაციები, რაც შესაბამისად ხუთი ათასი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს. როგორც ბატონმა ჯემალმა განაცხადა, არსებობს პროექტის ფინანსური გარანტიები, ახლა მხოლოდ მთავრობის მხარდაჭერაა საჭირო. სპეციალისტთა გათვლებით ახალი ნავსადგურის აკვატორია თითქმის სამჯერ გადიდდება, ხოლო სასაწყობო ფართი 7-8-ჯერ. შეკრების მონაწილეებმა გულახდილად ისაუბრეს იმ ხელმისაშემშელელ პირობებზეც, რომლებიც წლების წინ აფერხებდა თანამედროვე, უნიკალური პორტის მშენებლობას, როგორ იფლანგებოდა მილიონები, იკარგებოდა ძვირფასი დრო.

„ფაზისის“ აკადემიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ აქვთ ზუსტად, მეცნიერულ დონეზე გათვლილი გეგმა, განხილული აქვთ ყველა შესაძლებლობა იმისა, თუ როგორი სახე უნდა მიეცეს „საზღვაო კარიბჭეს“, რა მოგებას მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას. „ფაზისელთა“ თქმით, ეს არის ბოლო გაბრძოლება, რათა საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესდეს მათი პროგრამით. მავანთა კერძო ინტერესებმა, მომხვეჭელობამ ძალიან ბევრი დააკარგვინა ქვეყანას, ამიტომ ისინი მიმართავენ მთავრობას, განიხილონ ეს პროექტი, მიანიჭონ ამ საკითხს სახელმწიფო მნიშვნელობის სტატუსი, ორგანიზება გაუწიონ ამ კონცეფციის მოსმენას პროფილურ სამინისტროებსა და დაწესებულებებში. იმედია, მთავრობა ყურად იღებს და მხარს დაუჭერს ფოთელთა ხმას, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის ამ მამულიშვილურ ინიციატივას.

მამუკა ვაშაკიძე

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ ადმინისტრაციის

განცხადება

2016 წლის 08 აპრილს 14:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73), გაიმართება შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ნარჩენების განთავსება/სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება, ს/კ 81.07.14.075.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73;
- შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ ოფისი, ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5; ტელ: (+995) 599- 383-709;
- შპს „ჯეოკონის“ ოფისში — ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5, საკონტაქტო პირი: ვახტანგ წერეთელი, ტელ.: (+995) 599-383-709. ელ. ფოსტა: vakhotsereteli@gmail.com

◎ ინფორმაცია

თელ-ავივიდან ბათუმის მიმართულებით ფრენების ხანგრძლივობა იზრდება

წელს ისრაელიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი ფრენების ხანგძლივობასა და ავიაკომპანიებთან დაკავშირებით სიახლეებია. 2016 წელს, აჭარაში ფრენების პერიოდის გაზრდას გეგმავს ავიაკომპანია „Arkia“, რომელიც წინა წელს განხორციელებული სამთვიანი ფრენების ნაცვლად, წელს 10 თვის განმავლობაში შეასრულებს პირდაპირ რეისებს თელ ავივსა და ბათუმს შორის.

ბათუმში, ზაფხულის სეზონზე რეგულარულად იფრენს საქართველოს ბაზარზე ახალი კომპანიაც „El Al Israel Airlines“, რომელიც თელ-ავივიდან ბათუმის მიმართულებით კვირაში ორ საჰაერო მიმოსვლას განახორციელებს. TAV Airport Holding“-ის წარმომადგენლები აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად მოლაპარაკებებს აგრძელებენ ავიაკომპანიასთან „Israir Airlines“, რომ კომპანიამ გასული წლის მსგავსად წელსაც განახორციელოს ავიარეისები ბათუმსა და თელ-ავივს შორის, — აცნობეს მედიანიუსს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტიდან.

დღეისათვის, საქართველოსა და ისრაელს შორის პირდაპირ რეგულარულ რეისებს ავიაკომპანიები „Arkia“ „Israir Airlines“ და „Georgian Airways“ ასრულებენ. 2015 წელს ისრაელიდან საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლის მონაცემებთან შედარებით, 44 % პროცენტითაა გაზრდილი, აჭარაში შემოსულ ებრაელ ვიზიტორთა რაოდენობა კი — 19,9 %-ით.

ენერგეტიკოსები ზაფხულის სეზონისთვის ემზადებიან

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქობულეთში ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. სამუშაოები მიმდინარეობს 10 კვ ძაბვის ქსელში და მათი დასრულებისთანავე ქობულეთის ენერგომომარაგება უფრო საიმედო და სტაბილური გახდება.

რეაბილიტაციის ფარგლებში გამოიცვლება 1500 მ სიგრძის მიწისქვეშა კაბელი; აღნიშნული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდება უამინდობით გამოწვეული დაზიანების ალბათობა და გაუმჯობესდება ქობულეთის ცენტრალური ქუჩების ენერგომომარაგება; შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 5000 აბონენტის ელექტროენერგიის მიწოდება ზაფხულის სეზონზე უფრო სტაბილური და ხარისხიანი იქნება. გარდა ამისა, ქობულეთში იგეგმება კიდევ 2 ფიდერის რეაბილიტაცია და ახალი საკაბელო ტრასის გაყვანა, რომელიც ჩაანაცვლებს ჭაობზე გამავალ საჰაერო ხაზს. სამუშაოები მარტში დაიწყება და მნიშვნელოვნად გაზრდის ქსელის უსაფრთხოებას.

ზაფხულისთვის მზადების პროექტის ფარგლებში, ენერგო-პრო ჯორჯია გეგმავს სარეაბილიტაციო სამუშაოებს აჭარისა და გურიის სხვა რეგიონებშიც. კერძოდ, გონიო-კვარიათის საკურორტო ზონაში მოეწყობა 2 ახალი სატრანსფორმატორო პუნქტი, რომელიც სეზონზე გაზრდილი სიმძლავრეების მოთხოვნას უპასუხებს. ბათუმში, ძველი ბულვარის ტერიტორიაზე მთლიანად იცვლება დაბალი და საშუალო ძაბვის ქსელის კაბელები, მოხდება ათამდე სატრანსფორმატორო პუნქტის რეკონსტრუქცია და ძველი ამორტიზებული მაღალი ძაბვის კაბელების შეცვლა. რაც შეეხება ურეკსა და გრიგოლეთს, აქ აშენდება ახალი სარეზერვო ფიდერები, რის შედეგადაც აღნიშნულ რაიონებს ალტერნატიული კვების წყარო გაუჩნდებათ.

თავის გადასარჩენად ზოგჯერ ხავსსაც უნდა ჩაეჭიდო

თვალში მომხვდა ცნობილი ჟურნალისტის ვადიმ ანასტასიადის სტატია სათაურით: „რატომ ეჩხირება ყელში პანკისი ლავროვს?“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 6 თებერვლის ნომერში.

სტატიის ბოლოს ავტორი წერს: „დაკმაყოფილდა კი განა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბატონი კელისა და კომპანიის დამოწმებით?“

ვიდრე ლავროვის განცხადებაზე გადავიდოდე, ვიტყვი, რომ განცხადების პასუხი, რომელიც ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის (გამოხმაურებიდან გამომდინარე, უცხოეთსაც მოუსმენია) იყო ისეთივე პრიმიტიული, როგორიც საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისა. პასუხი სწრაფი კი იყო, მაგრამ იმდენად დაუჯერებელი, რომ ბევრმა სააგენტომ თავი ვერ შეიკავა და ისეთი გვაუწყა პანკისთან დაკავშირებით, უარესს რომ ვერ წარმოვიდგენდით.

პასუხი, როგორც ჩანს, ავლაბრის სასახლეში მომზადდა, ცხადია, აშშ-ს ელჩთან შეთანხმებით და სიმტკიცისთვის მას, მეორე დღეს პრეზიდენტის, აშშ-ის და სხვა ელჩების ვიზიტიც მოჰყვა პანკისის ხეობაში. ვიზიტმა „წარუშლელი“ შთაბეჭდილება მოახდინა!

თეატრალიზებული ვოიაჟი რომ მიზანს ვერ მიაღწევდა, იმთავითვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. მარგველაშვილისა და მისი თანმხლები უცხოელი დიპლომატების მიერ პანკისის მონახულების მთავარი მიზანი თუ ლავროვისთვის პასუხის გაცემა იყო, რაღა პანკისი, თბილისიდან ეპასუხათ?!

ყველა ჩვენგანმა კარგად იცოდა, რომ პანკისში სტუმრად ჩასულ პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს ჯიჰადისტები საარაკო მასპინძლობას არ გაუწევდნენ, არც იმ ხეობებში შეიყვანდნენ, სადაც სისტემატურ ვარჯიშებს ატარებენ და არც იმ პლანშეტებს ანახებდნენ, რომლითაც 24-საათიან რეჟიმში უკავშირდებიან „ისლამურ სახელმწიფოს“.

„იქნებ მოვიწვიოთ ის (ლავროვი) აქ, რომ თვითონ დარწმუნდესო“, — განაცხადა მარგველაშვილმა, მას შემდეგ, რაც პანკისის კუთხე-კუნჭულის „ინსპექტირების“ შედეგად ვერც ერთი ჯიჰადისტი ვერ აღმოაჩინა.

ნანახით კმაყოფილებას ვერც აშშ-ის ელჩი კელი და ვერც სხვა ელჩები მალავდნენ. მათ სახეებზე ის გამომეტყველება იყო აღბეჭდილი, რაც ვერბალურად ასე გაიჟღერებდა - აბა, სად არიან ტერორისტები?!

არადა, რა თქვა ისეთი ლავროვმა, ესოდენი წყენა რომ გამოიწვია ჩვენს ხელისუფლებასა და მის „სტრატეგიულ პარტნიორში“? — არც არაფერი. „ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები, ამ ძნელად მისადგომ ტერიტორიას იყენებენ იმისთვის, რომ იქ ივარჯიშონ, დაისვენონ და შეივსონ თავიანთი მარაგი“. არის სადმე მინიშნება იმაზე, რომ ტერორისტები თქვენთან არიან და შემოვიჭრებითო? ამას ვარაუდობდა ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი, თანაც ასე — ლავროვის განცხადება ინტერვენციის მომასწავებელი ხომ არ არისო!

ლავროვის განცხადებაში მთავარი ის არის, რომ ყურადღება არ მოვადუნოთ და მზად ვიყოთ ყოველგვარი გამოხდომისთვის, რასაც პანკისიდან შეიძლება ჰქონდეს ადგილიო!

გამოხდომას კი მართლაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, უპირველესად, რუსეთის წინააღმდეგ.

ლავროვს და რუსეთის ხელისუფლებას პანკისი რომ ცუდად აქვთ დაცდილი, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ მრავალი წლის განმავლობაში ეს ხეობა ტერორისტების ბუდედ იყო ცნობილი. განა, თვით აშშ-ის ყოფილმა ელჩმა მაიკლსმა არ გამოხატა თავისი გულისწყრომა პანკისის მიმართ, რასაც სააკაშვილისა და მისი სამართალდამცავი ორგანოების სწრაფი რეაგირება მოჰყვა? მაშინ, თითქოს გაიწმინდა პანკისი, მაგრამ ვითარება მალე შეიცვალა, ვაშინგტონის პოლიტიკის შეცვლასთან ერთად პანკისი კვლავ დაუბრუნდა თავის საქმიანობას.

„არის თუ არა „ისლამური სახელმწიფო“ საქართველოს პანკისის ხეობაში?“ — კითხულობს EADaily და ჩატარებული კვლევის შედეგად პასუხობს: — „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრეები არიან პანკისის ხეობაში და თავს კარგად გრძნობენ. უფრო მეტიც, მისი (ხეობის) მოხალისეები „ჯიჰადისთვის“ სირიასა და ერაყში მიდიან და უკანაც ბრუნდებიან, არავინ იცის, რატომ“.

სააგენტომ ათზე მეტი პანკისელი აღმოაჩინა, რომლებიც თავიანთ საიტებზე „ისლამური სახელმწიფოს“ სიმბოლიკით აქვეყნებენ მასალებს. გარდა ამისა, მათი ნამუშევარი ქვეყნდება ამ „სახელმწიფოს“ ჟურნალ „დაბიკში“. მაგალითად, უმარ ხანგოევის, რომელიც მეგობართან ერთად ჩამოვიდა პანკისში.

სოცქსელების უმრავლესობის ნახვა შეუძლებელია, ვინაიდან დახურულია უცხოელთათვის, მაგრამ ის, რაც ხელმისაწვდომია, აშკარა ასლია იმისა, როგორ ხდება გადაბირება „ისლამურ სახელმწიფოში“. მათ შორის ქალებიც არიან. მაგალითად, პანკისში მცხოვრები ალხანოვა, რომელიც საიტზე ათავსებს სირიელი „ბოევიკების“ ფოტოებს.

მონაცემების მიხედვით, საქართველოდან 200-ზე მეტი ჯიჰადისტია წასული სირიასა და ერაყში, უმრავლესობა, პანკისელია. წასულებიდან ყველაზე ცნობილები უმარ ალ-შიშანი (თარხან ბათირაშვილი) და მუსლიმ ალ-შიშანი (მურად მარგოშვილი) არიან. ეს უკანასკნელი არის ტერორისტული დაჯგუფების „ჯუნუდ ალ-შამის“ ამირა, რომელიც შედის სირიულ „ალ-ქაიდაში“.

EADaily წერს პანკისელზე, ვინმე „ბოროდაზე“, რომელიც ახალგაწვრილებულია „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ ძალებში. გამოქვეყნებული ფოტოების მიხედვით, ის ხან სირიის პეიზაჟზეა აღბეჭდილი, ხან პანკისის ხეობის ფონზე. „რას აკეთებს ის პანკისში“? — ასეთ კითხვას სვამს სააგენტო.

„სალაფიტების (ვაჰაბიტების) მეჩეთების ნაკლებობას პანკისის ხეობა ნამდვილად არ განიცდის. სწორედ იქიდან მიემგზავრება რადიკალიზებული ახალგაზრდობა სირია-ერაყში ჯიჰადისთვის. ამასთან დაკავშირებით უხუცესთა საბჭომ გასულ წელს ხელისუფლებასაც მიმართა, თუმცა გამგზავრება გრძელდება. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეები კვლავ ცოცხლობს პანკისში, რომლის მაცხოვრებლებიც არა მარტო მიემგზავრებიან სირიაში, არამედ უკანაც ბრუნდებიან. რატომ?“, - კითხულობს საინფორმაციო სააგენტო.

რატომ? — ეს კითხვა უმჯობესი იქნებოდა, მარგველაშვილს ან რომელიმე სახელმწიფო მოხელეს გასჩენოდა.

ტერორიზმთან ბრძოლა ურთულესი საქმეა და დიდ თანხებს, საქმის ცოდნას, წვრთნას მოითხოვს, რის შესაძლებლობა პატარა საქართველოს არ გააჩნია. აშშ-ს ან ნატოს მოიმედეობა დიდი ვერაფერი შეღავათია. თუ თვალს გადავავლებთ ბოლო ორი წლის მოვლენებს, დავინახავთ აშშ-ს და მის მიერ შექმნილი ანტიტერორისტული კოალიციის მიერ „მიღწეულ“ შედეგებს: ნუთუ ძნელი იყო, კოალიციაში შემავალ 64 ქვეყანას ნაბიჯების გადაედგა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტები სირიის დედაქალაქ დამასკოს არ მიდგომოდნენ?

ჩემი აზრით, უდავოდ, შეიძლებოდა, მაგრამ დამასკოს დაცვა არ შედიოდა აშშ-ს და კოალიციის გეგმებში...

ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს სირიის ტერიტორიის 40% აქვს დაპყრობილი, ხოლო ერაყის - ერთი მესამედი. რომ არა რუსეთის ხელისუფლების კარდინალური ნაბიჯი — საჰაერო-კოსმოსური ძალების მხრიდან ტერორისტთა პოზიციების დაბომბვა, ტყვია-წამლის საწყობების და საწვრთნელი ბაზების განადგურება, დამასკო დაეცემოდა და მასთან ერთად დასამარდებოდა სირიის არაბთა რესპუბლიკა — ერთ დროს ახლო აღმოსავლეთის მარგალიტად წოდებული ქვეყანა.

თუ დღეს, ვინმე ნამდვილად ებრძვის ტერორიზმს, კერძოდ „ისლამურ სახელმწიფოს“, რუსეთი და ირანია. ორივე მათგანი რეგიონის შემადგენელი ნაწილია და მათთვის ახლო აღმოსავლეთის პრობლემები - საკუთრად აღიქმება, რასაც ვერ ვიტყვით აშშ-ზე, გეოგრაფიულად აშკარად შორს მყოფზე. ასე, რომ რუსეთთან, ნიშნის მოგებით ლაპარაკის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლებამ სხვა გზა უნდა აირჩიოს, გაცილებით მომგებიანი, ვიდრე ის, რაც გვაქვს.

საქართველოს ხელისუფლებას რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინა და სტამბოლის 1999 წლის გადაწყვეტილებიდან, აგრეთვე 2005 წლის საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებიდან გამომდინარე ბათუმში არსებული ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საქართველო-რუსეთის ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი შეექმნა, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს გაცილებით უფრო დაცულად ჩავთვლიდით თავს.

როცა წყალში ჩავარდნილის ჩასაჭიდებლად ხავსღა შემოგრჩება, იმასაც კი უნდა ჩაეჭიდო, იქნებ გიშველოს!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ობამა საქართველოს გულისთვის რუსეთთან ომს არ დაიწყებს

ვაშინგტონში დაფუძნებული ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის წამყვანი ანალიტიკოსის ალექს ვატანკას განცხადებით, აშშ-ის მხრიდან რუსეთი ფაქტობრივად მიშვებულია, გააკეთოს ის, რაც მის ინტერესებს ემსახურება სამხრეთ კავკასიაში.

ამის შესახებ ვატანკამ „ამერიკის ხმის“ ქართულ სამსახურთან საუბარში, აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორის ჯეიმს კლაპერის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა.

ალექს ვატანკა თვლის, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ბევრი ადამიანია, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა საკმარისს არ აკეთებს მათი ქვეყნებისთვის, და სავარაუდოდ, საქართველოშიც მეტ საჭიროებას ხედავენ, აშშ აქტიურად ჩაერიოს რუსული გავლენების აღკვეთის საქმეში. ვატანკას თქმით, ჯეიმს კლაპერის განცხადება ამ რეალობის წარმოჩენას გულისხმობდა.

„ანალოგიური აღქმა არსებობს, სავარაუდოდ, რუსეთის სხვა მეზობელ მცირე სახელმწიფოებშიც. თუმცა, ფუნდამენტური პასუხი ისევ ამერიკის საგარეო პოლიტიკაშია და იმაში, თუ როგორ ავლენს ის საკუთარ ძალაუფლებას მსოფლიოში. პრეზიდენტ ობამას პოზიციაა, რომ ძლიერების წარმოსაჩენად საჭირო არ არის, ყველგან სამხედრო ძალით მოახდინო ინტერვენცია. ამის ნათელი დადასტურებაა ამერიკის მონაწილეობა, ან როგორც ბევრი იტყვის — მონაწილეობის ნაკლებობა-უკრაინაში. რაც შეეხება საქართველოს: ეს არის ქვეყანა, რომელიც დასავლეთისა და პერიოდულად, რუსეთის გავლენების ქვეშ ექცევა. ვფიქრობ, თუ რუსეთი გადაწყვეტს, რომ საქართველოზე მეტი ზეწოლა მიიტანოს, საქართველოს ძალიან გაუჭირდება ამის გადალახვა და დაძლევა. მიზეზი მარტივია: აშშ ომს არ დაიწყებს საქართველოში ვლადიმირ პუტინთან. იმ დრომდე, სანამ ამერიკის ხელისუფლების სათავეში ბარაკ ობამაა, ეს მიდგომა დარჩება. არ ვიცი, შესაძლოა, უფრო მეტი კონცენტრირება გამოიჩინოს ამერიკის მომავალმა ადმინისტრაციამ. მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთი, ფაქტობრივად, მიშვებულია გააკეთოს ის, რაც მის ინტერესებს ემსახურება სამხრეთ კავკასიაში“, — განაცხადა ალექს ვატანკამ.

◎ ინფორმაცია

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს

დაკავებულია 1974 წელს დაბადებული რუსთავში მცხოვრები პირი, ამის შესახებ ინფორმაციას დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

„ე.წ. კომიტეტის ცნობით, სოფელ დმენისის მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქესთან საუბარში გაიგო, რომ ის ცხინვალის ავტოსადგურში აპირებდა ჩასვლას, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება მისი სამართალდამცავი უწყებისთვის ჩაბარების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ე.წ. კომიტეტის ცნობით, დაკავებულმა დე ფაქტო საზღვარი 13 თებერვალს გადაკვეთა“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„გაყინული“ უკვდავება

რატომ იყინავენ ადამიანები თავს და როდის ელიან ისინი „მკვდრეთით აღდგომას“?

კრიოპრეზერვაცია ცოცხალი უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოების გაყინვის მეთოდია ნულზე დაბალ ტემპერატურაზე. კრიოპრეზერვაციის შესაძლებლობისა და მისი გავლენის შესწავლა ცოცხალ უჯრედებზე 1776 წლიდან დაიწყო, თუმცა 1949 წლამდე უჯრედების კრიოპრეზერვაციის პრეცედენტი ყოფილიყო. ინგლისელი მეცნიერი ერნესტ ჯონ კრისტოფერი იყო პირველი, ვინც აღმოაჩინა გლიცერინის კრიოპროტექტორული მოქმედება უჯრედებზე გაყინვის დროს და მანვე მოახერხა ცხოველური სპერმის გაყინვა. 1953 წელს კი, ამერიკელმა მეცნიერმა ჯერომ სერმანმა წარმატებით გაყინა და შემდეგ უჯრედების დაუზიანებლად გაალღო ადამიანის სპერმა. მისსავე სახელს უკავშირდება მსოფლიოს პირველი სპერმის ბანკის შექმნა, რომელიც ასევე 1953 წლით თარიღდება.

კრიობიოლოგია როგორც მეცნიერება 1664 წლიდან ჩამოყალიბდა და მის ირგვლივ გააერთიანა ბიოლოგები, ფიზიკოსები და ექიმები იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად შეესწავლათ ბიოლოგიურ სისტემებზე გაყინვის ზემოქმედება. ავსტრალიელმა მეცნიერმა ალან ტრუნსონმა 1983 წელს მიიღო პირველი ორსულობა გაყინული და შემდეგ გალღობილი ადამიანის ემბრიონებით.

მეცნიერული მუშაობის პროცესში მთავარ პრობლემას წარმოადგენდა უჯრედების გაყინვა ისე, რომ არ მომხდარიყო მათი დაზიანება გაყინვის დროს, ხოლო გამოლღობის შემდეგ უჯრედებს შესძლებოდათ თავდაპირველი ცხოველმყოფლობით ფუნქციონირება. ამ პროცესებზე მუშაობის პერიოდში მეცნიერები დაკვირვებას ატარებდნენ იმ ეფექტებზე, რაც ჰქონდა გაყინვას ცოცხალ ორგანიზმებზე, ასევე ამუშავებდნენ გაყინვა-გალღობის შედარებით უფრო დახვეწილ მეთოდებს. ძირითად პრობლემას წარმოადგენდა უჯრედების კრისტალიზაცია და შესაბამისად მათი მსხვრევა-დაზიანება გაყინვის დროს. ამავდროულად, ხდებოდა დაკვირვება გაყინვის პროცესზე ბუნებრივ პირობებში, რა დროსაც აღმოაჩინეს, რომ წყლის დათვი უპრობლემოდ უძლებს გაყინვას იმის გამო, რომ გაყინვის დროს ბუნებრივად, მის ორგანიზმში არსებული წყლის ძირითადი ნაწილი მთლიანად გარდაიქმნებოდა შაქრად, რაც ხელს უშლიდა უჯრედების დაზიანება-კრისტალიზაციას. გაყინვაზე ტოლერანტული აღმოჩნდა ასევე სამი სახეობის კუ, ერთი სახეობის გველი და ხუთი სახეობის ბაყაყი. ისინი სიცოცხლისუნარიანობას იბრუნებდნენ იმის შემდეგაც, როდესაც ხდებოდა მათ ორგანიზმში არსებული სითხის 65 პროცენტის გაყინვა.

მსგავსმა დაკვირვებებმა საშუალება მისცა მეცნიერებს, აღმოეჩინათ ბუნებრივი კრიოპროტექტორები (გლიცეროლი და დიმეთილსუფოქსიდი), რომლებმაც შემდეგ ფართო გამოყენება ჰპოვეს ლაბორატორიულ პირობებშიც და დასაბამი დაუდეს ადამიანური ორგანოებისა და ადამიანების გაყინვა-გამოლღობის მეთოდებზე მუშაობას.

ამჟამად, ცოცხალი ორგანიზმების გაყინვა ხდება 196 გრადუსზე, თხევად აზოტში. ამ ტემპერატურაზე, უჯრედებში საერთოდ წყდება ყველანაირი ბიოლოგიური აქტივობა. რაც შეეხება გაყინული ბიოლოგიური მასალის გალღობას, 1970 -იანი წლებიდან ეს ხდებოდა ე.წ „ნელი მეთოდით“, შესაბამისი პროგრამულ-კონტროლირებადი დანადგარის საშუალებით. „ნელი მეთოდით“ უჯრედების გალღობისას, ადგილი აქვს ტემპერატურის მატებას წუთში 1 გრადუსი ცელსიუსით. ეს საშუალებას იძლევა გაყინვის დროს უჯრედებში შეკავებულმა ზედმეტმა წყალმა მოასწროს მყარი მდგომარეობიდან თხევადში გადასვლა და უჯრედებიდან გამოსვლა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს კრიოპროტექტორების — გლიცეროლისა და დიმეთილსულფოქსიდის გამოყენების თანხლებით. 1980-იანი წლებიდან კი მეცნიერებმა გაყინვის სწრაფი მეთოდი „ვიტრიფიკაცია“ დანერგეს. ვიტრიფიკაციის დაწყებამდე უჯრედებს ამატებენ კრიოპროტექტორებს, რომლებიც არამარტო დამცავ, არამედ „ანტიფრიზის“ ფუნქციასაც ასრულებენ. ტემპერატურის აწევა კი სწრაფად ხდება, რომლის დროსაც მიმდინარეობს წყლის არამყარი მდგომარეობიდან თხევადში გადასვლა, როგორც ეს ნელი მეთოდის დროს, არამედ ტემპერატურის ძალიან სწრაფად აწევის გამო, როცა წყალი ვერ ასწრებს თხევად მდგომარეობაში გადასვლას და მიიღება ამორფული ყინული. ამ მეთოდის შემუშავების შემდეგ მეცნიერებმა წარმატებით მოახერხეს კურდღლის თირკმლის გალღობა და ტრანსპლანტაცია კურდღელში.

1965 წელს სიცოცხლის გახანგრძლივების საზოგადოებამ ამერიკაში გააკეთა განაცხადი იმის შესახებ, რომ მოახდენდა ერთი ადამიანის უფასო გაყინვას. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ჯეიმს ბედფორდი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც თანხმობა განაცხადა აღნიშნულ შეთავაზებაზე და მისი გაყინვა მოხდა 1967 წელს. ჯეიმსი ამ დროისთვის დაავადებული იყო თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნის ბოლო სტადიით. კრიოლოგების ჯგუფი მის სიკვდილს რამდენიმე თვე ელოდა მის სარეცელთან. აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ კანონით ადამიანის გაყინვა შესაძლებელია მხოლოდ ლეგალური სიკვდილის, ანუ კარდიული (გულის) სიკვდილის დადგომის შემდეგ, სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის დანაშაულად, კერძოდ მკვლელობად ითვლება. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გაყინვა ლეგალური სიკვდილის დადგომიდან რამდენიმე წუთში უნდა მოხდეს, მანამ, სანამ მოხდება ტვინის სიკვდილი.

2012 წლის მდგომარეობით, უკვე 250 ადამიანია გაყინული, მათ შორის ამერიკელი **კალათბურთელი ტედ უილიამსი.** ადამიანებს, რომლებიც გაყინვის სურვილს აცხადებენ, ბრმად სჯერათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მედიცინა შეძლებს მათ უსაფრთხო გალღობას, ხოლო უამრავი კრიოორგანიზაცია დარწმუნებულია არამარტო მათი უსაფრთხო გალღობის მეთოდების აღმოჩენაში, არამედ იმაშიც, რომ ისინი სრულიად ჯანმრთელი „აღსდგებიან“ მკვდრეთით. ისინი ვარაუდობენ რომ 2045 წლისთვის მედიცინა, ნანოტექნოლოგიების დახმარებით, შეძლებს მომაკვდინებელი დაავადებების აღმოფხვრას და უჯრედული კვდომის შეჩერებას. მათ ასევე სჯერათ არა მარტო დაავადებების აღმოფხვრის შესაძლებლობების, არამედ სიბერის შეჩერების და უკვდავების თეორიების რეალობად ქცევის. მეცნიერთა თუ საზოგადოების დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამგვარი ორგანიზაციების საქმიანობის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა უკვდავების მანიით შეპყრობილი ადამიანების გაძარცვის მცდელობა. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება და კრიო ორგანიზაციებში გაწევრებულ ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაყინვის გადასახადი ერთჯერადია და იგი 28 000 აშშ დოლარი ჯდება. თანხის გადახდის გარდა, აუცილებელია კრიოლოგების ჯგუფი სიკვდილის წინ იქვე იმყოფებოდეს, რაც ზოგჯერ არცთუ ისე ადვილი მოსახერხებელია. კრიოორგანიზაციები ერთჯერადი გადახდის გარდა, სხვადასხვა სადაზღვევო პაკეტსაც სთავაზობს საზოგადოებას. კრიოორგანიზაციებში გაწევრებული ხანდაზმული წევრებისთვის ერთჯერადად მხოლოდ 1250 დოლარია გადასახდელი. ე.წ სტუდენტური პაკეტის ღირებულება კი — 55 აშშ დოლარი ყოველთვიურად.

შეძლებს თუ არა მეცნიერება გაყინული ადამიანების რევიტალიზაციას, ამაზე პასუხი დღეს არავის აძვს. გარდა ამისა, ეს საკითხი უამრავ ეთიკურ და მორალურ დილემას წარმოშობს, რომელიც, ალბათ, მაინც ინდივიდუალური გადასაწყვეტია. „არ მსურს სიკვდილი“ აცხადებს ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის პროფესორი რობინ ჰანსონი ჟურნალისტებთან საუბრისას. „მხოლოდ სიკვდილამდე“ — სასიცოცხლო ფიცი კი ასე დადო ძორწინების ცერემონიაზე მისმა საცოლემ, იცოდა რა მეუღლის სამომავლო კრიოპრეზერვაციის გეგმებზე.

მარიამ კუკუნაშვილი

გონიერები უფრო დიდხანს ცოცხლობენ

მუდმივი ინტელექტუალური მუშაობა მთელი ცხოვრების მანძილზე გვეხმარება, უფრო დიდხანს შევინარჩუნოთ ზრომისუნარიანობა და არ დავბერდეთ. რატომ?

ჩვენი ექსპერტია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნათელა პიპინაშვილი.

მართვის ცენტრი

ყველამ იცის, რომ კუნთები უნდა დავტვირთოთ, რათა უკეთ მარაგდებოდნენ სისხლით და უკეთესად იკვებებოდნენ, მაგრამ ტვინიც მოითხოვს მუდმივ დატვირთვას სისხლის კარგი მომარაგებისთვის. მოქმედი უჯრედები ურთიერთმოქმედებენ, მათ შორის წარმოიქმნება ახალი კავშირები, ისინი თავიანთ გარშემო ცვლიან გარემოს, პასუხად ტვინის სისხლძარღვები ფართოვდება, ტვინი უფრო ეფექტურად მარაგდება საკვები ნითიერებებით და, მაშასადამე, არის უკეთეს ფორმაში. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ტვინი საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ ვიფიქროთ და ვიგრძნოთ, არამედ წარმართავს გულის მუშაობასაც, ენდოკრინულ სისტემასაც და სასუნთქ სისტემასაც, კარგ ფორმაში ყოფნის დროს კი კარგად მართავს ყველა ორგანოს და სისტემას, საშუალებას არ აძლევს დაავადებას, რომლებიც მოხუცებულობასთანაა დაკავშირებული, განვითარდნენ დროზე ადრე. მეცნიერებმა დიდი ხანია, შენიშნეს ასეთი კავშირი: ცუდად მუშაობს თავის ტვინის ქერქი (სწორედ იგი ასრულებს ცენტრალურ როლს ინფექტუალურ მუშაობაზე) — ადამიანი მალე ბერდება და ადრე მიდის ამ ქვეყნიდან.

ინტელექტუალებს კარგად აქვთ განვითარებული თავის ტვინის ქერქი და ჰიპოკამპი-სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ აზროვნებისთვის და მეხსიერებისათვის, არამედ აწესრიგებენ სტრესსაც. სტრესი ეხმარება ორგანიზმს გაუძლოს ყოველ ცალკეულ შემთხვევას, თუმცა გვართმევს იმდენ ძალას, რომ გვიახლოებს სიბერესაც. კარგად განვითარებულ ქერქსა და ძლიერ ჰიპოკამპს შეუძლიათ, არ დაუშვან სტრესის განვითარება, ანდა სწრაფად გაუსწორდნენ მას და, მაშასადამე, დაზოგონ ორგანიზმის ძალა ხანგრძლივი ჯანსაღი ცხოვრებისათვის.

ხშირად იმტვრიეთ თავი!

როდესაც უკვე ახალგაზრდა არა ხარ, შესაძლებელია თუ არა გაიუმჯობესო ტვინის მუშაობა? — შეიძლება.

● გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ თუ ადამიანი 40 წლის ასაკში იწყებს ახალი საქმის ათვისებას, ტვინის უჯრედებსა და სისტემებს შორის იქმნება ახალი კავშირურთიერთობანი, როგორც ეს ბავშვობაში ხდებოდა, როდესაც ტვინი იზრდებოდა და ვითარდებოდა, უკეთ მუშაობას იწყებენ ქერქი და ჰიპოკამპი. არ არის სავალდებულო, კარდინალურად შევცვალოთ საქმიანობის სფერო. შეიძლება, უბრალოდ, ავითვისოთ ახალი ტექნიკა, რომელიც ლამის ყოველდღე ჩნდება. მუშაობთ კომპიუტერზე? იყენებთ ციფრული ფოტოაპარატის ყველა შესაძლებლობას, შეგიძლიათ დაამუშაოთ ფოტოგრაფიები, ისწავლეთ მობილური ტელეფონიდან გახვიდეთ ინტერნეტში? არა? აი, ესეც სამუშაო თქვენი ქერქისათვის.

● ცხოვრების სწორი წესი: ზომიერი ფიზიკური დატვირთვები, კვება ტკბილეულისა და ნამცხვრების მცირე ოდენობით, დასვენება სუფთა ჰაერზე, სასიხარულო წუთები... — ეს ყოველივე აუმჯობესებს ენერგიის გაცვლას და ტვინის უჯრედების მუშაობას.

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „15 თებერვლის“
№ ს-71 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსტავიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
	სალიცენზიო პირობები და	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
4	მოითხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარების ერთეული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზღვარეს მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის უკმარი მოცულობა - 20 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოღანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	3 479 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	347,9 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 21 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საშალო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „15 თებერვლის“
№ ს-72 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსტავიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
	სალიცენზიო პირობები და	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
4	მოითხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარების ერთეული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოღანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. მე-VI უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის უკმარი მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოღანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521,8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	4 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 21 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საშალო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „15 თებერვლის“
№ ს-73 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსტავიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
	სალიცენზიო პირობები და	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
4	მოითხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარების ერთეული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოღანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. მე-V უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის უკმარი მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოღანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521,8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	4 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 21 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საშალო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ეროვნული ვალუტა

რატომ ვერ მძლავრობს ლარი?

ლარის კურსის ამჟამინდელი, ერთგვარად „გაწონასწორებელი“ მდგომარეობა, რომლის ღირებულება დოლარის მიმართ 2,47-თან ახლო ნიშნულზეა შეჩერებული, ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, სახიფათოდ არამდგრადია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ დოლარი კვლავაც განაგრძობს მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ვალუტების მიმართ გამყარებას და, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ჩართულობა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში დიდი არ არის, შემდგომი გაუფასურების საფრთხე ცხადია, ჩვენთვისაც საკმაოდ რეალურია.

ამასთან, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ, მართალია, წლის დამდეგიდან ლარის გაუფასურების ტენდენცია კი გაგრძელდა, მაგრამ, 2014 წლის მიწურულთან და 2015 წელთან შედარებით, შეუდარებლად შესუსტებულად. ამ „კუს ნაბიჯით“ გაუფასურების პირობებშიც კი, ლარისადმი ნდობის ხარისხი კვლავ კლებულობს. რასაც თვალნათლივ მოწმობს ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალი ხარისხი. **ეროვნული ბანკის შარშანდელი თერთმეტი თვის მონაცემებით, საქართველოს საბანკო სექტორში ანაბრების მთლიანი მოცულობა 15 მილიარდ 182 მილიონ ლარს შეადგენდა. მათ შორის ეროვნული ვალუტით მხოლოდ 4 მილიარდ 605 მილიონი, დანარჩენი 10 მილიარდ 577 მილიონი უცხოური ვალუტით იყო მონეტიზებული.**

იმას, თუ რაოდენ დაბალია მოსახლეობის ნდობის ხარისხი ეროვნული ვალუტის მიმართ, ერთი მეტად საგულისხმო ფაქტიც მოწმობს: **იმის მიუხედავად, რომ წლის დამდეგისთვის დეპოზიტებზე ლარის განთავსების საშუალო შეწონილი განაკვეთი 8,4, ხოლო უცხოური ვალუტით (მათ შორის, ცხადია, დოლარით) განთავსებულზე განაკვეთი ორზე მეტჯერ ნაკლები, მხოლოდ 3,8 პროცენტი იყო, კერძო სექტორი — როგორც რიგითი მოქალაქეები, ასევე საქმიანი წრეების წარმომადგენლები — ფულს მაინც უცხოური ვალუტით ინახავდნენ და დღესდღეობითაც იგივე სურათია.**

ყველაზე ცუდი ამაში ისაა, რომ ეს პროცესი არც შარშან დაწყებულა და არც შარშანწინ, ის წლების მანძილზე გრძელდებოდა, თანაც საქმე ისე მიდის, რომ ბოლო არც უჩანს — დიდი ხნის წინათ ეროვნული ბანკის მიერ ზარ-ზეიმით გამოცხადებული ეგრეთ წოდებული „ლარიზაციის“ პროცესი, რომელიც მოსახლეობასაც და ბიზნესსაც სავალუტო რყევების საფრთხეს მთლად თუ არ ააცილებდა, მნიშვნელოვნად შეუსუსტებდა მაინც, უსახელოდ ჩაფლავდა. თანაც უბედურება ისაა, რომ ისევე, როგორც უამრავ სხვა შემთხვევაში, შეუსრულებელი დანაპირებისთვის პასუხს არც ეროვნული ბანკის ჯერ კიდევ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს, არც სხვას არავინ არ სთხოვს. მეტიც: პარლამენტის ტრიბუნიდან ბატონმა ქადაგიძემ საქვეყნოდ ამაყად განაცხადა — ჩვენი ყველა პროგნოზი გამართლდაო. მერე და რა, თუნდაც ასე იყოს?!

ცალკეა აღსანიშნავი, რომ, სამამულო საბანკო სფეროს მრავალი წარმომადგენლისგან განსხვავებით, საქართველოში დოლარიზაციის დონის შემცირებაში საგრძნობ დახმარებას ქვეყნის ხელისუფლებას საერთაშორისო დონორები ადრეც უწევდნენ და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. კერძოდ, სწორედ ამ პოლიტიკას ატარებდა წლების მანძილზე ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, რომელიც ახლა ამ მიმართულებით ახალ მასშტაბურ კამპანიას ახორციელებს. საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლის **ირაკლი მექვაბიშვილის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკის „ლარიზაციის“ ახალ პროგრამაში ჩართულები იქნებიან არა მხოლოდ კომერციული ბანკები, არამედ ბიზნესის კერძო სექტორის სხვადასხვა მიმართულების კომპანიები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებზეც ბანკი გრძელვადიან საბანკო სესხებს ლარებით გაისცემს.**

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია და ქვეყანაში დოლარიზაციის შემცირებას შეუწყობს ხელს, მაგრამ, თუ ამ საქმეს თავად ეროვნულმა ბანკმა არ მიხედა, მას ვერც ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი უშველის და ვერც სხვა დონორი ორგანიზაცია. არადა, **დოლარიზაციის მაღალი დონის შემცირება იმიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ ეროვნული ვალუტაც და ეკონომიკაც გარე შოკებისგან უფრო მეტად იყოს დაცული.**

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ლარი სრულფასოვან ვალუტად იმიტომ ვერ ჩამოყალიბდა, რომ მან ფულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება — დაგროვების ფუნქცია — ვერ შეიძინა.** სწორედ ამიტომაცაა, რომ მოსახლეობასაც და ბიზნესსაც თვალი მუდამ უცხოურ ვალუტაზე უჭირავთ. თანაც ბოლო დროს დოლარიზაციის პროცესი არათუ შენელდა, პირიქით, აჩქარდა კიდეც!

სპეციალისტები აქცენტს იმაზეც აკეთებენ, რომ ეროვნული ბანკის ბოლო წლების მანძილზე ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკის არაეფექტიანობის გარდა, საქართველოში დოლარიზაციის მაღალ დონეს ასევე უცხოურ სავალუტო, განსაკუთრებით კი იპოთეკურ და ონლაინ-სესხთა სიმრავლე უწყობს ხელს, რაც სათანადო რეგულირების ჩარჩოებში აუცილებლად უნდა მოექცეს.

ნინო ალექსანდრია

◎ სეზონური საფრთხე

აცრებს შემოდგომაზე დავითვლით...

იმის მიუხედავად, რომ ჩვენში გრიპის ეპიდემიის საფრთხემ იკლო, არსებული მონაცემებით, ჩვენს ახლო სამეზობლოში, მათ შორის როგორც კავკასიაში, ასევე რუსეთში, საშუალო ინტენსივობის ეპიდემიაა.

A ტიპის (H1N1) ღორის წარმოშობის ვირუსი 2009 წლიდან ცირკულირებს. ამ ტიპის ვირუსით დაავადების შედეგად ლეტალური დასასრული, უმეტესწილად, 30-67 წლის ასაკის ხალხზე მოდიოდა, თანაც ყოველ მეხუთე შემთხვევაში პაციენტებს სიცხე 38 გრადუსზე მეტი ჰქონდათ და მათ შორის 10 პროცენტს არავითარი ქრონიკული ავადმყოფობა არ აღენიშნებოდა. მაგრამ იმ დროს გრიპის ეს შტამი ადამიანთა უმრავლესობისთვის ახალი იყო. **დღესდღეობით კი კაცობრიობა უკვე კარგად იცნობს ღორის გრიპს, რომელიც უწინდელივით აგრესიული არ არის.** თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ვირუსის ამ შტამით გამოწვეული გრიპი მაინც მძიმედ მიმდინარეობს და, თუკი ავადმყოფმა ექიმს დროულად არ მიმართა, მას შეესაძლოა, ძალიან სერიოზული შედეგი მოყვეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, მართალია, ამჯერად საქართველოში გრიპის ეპიდემიის საფრთხე არ არსებობს, ავადმყოფობის შეყრისგან თავის დაცვის რამდენიმე უმარტივესი წესის გამეორება მაინც ზედმეტი არ იქნება:

მაქსიმალურად მოერიდეთ ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილებს; სახეზე პირბადე აიფარეთ, ოღონდ გახსოვდეთ, რომ ის, მართალია, სისველის წვეთებს კი აკავებს, რომლებსაც ხველებისას და ცხვირის ცემინებისას გამოვყოფთ, მაგრამ ვირუსს მაინც ატარებს. ამიტომაც ის ყოველ 3-4 საათში უნდა გამოცვალოთ, რადგან ლორწოსა და სისველეს მალევე აგროვებს და ინფექციის ბუდედ იქცევა; ვირუსებისა და მიკრობებისთვის გარკვეული ზღუდეა ოქსოლინის საცხი, რომელიც ცხვირში უნდა ამოისვათ; ხალხმრავალი ადგილებიდან შინ მობრუნებულებმა ხელები საგულდაგულოდ დაიბანეთ და ცხვირი გაიწმინდეთ.

აქვე ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გრიპით დაავადებულის კვების რაციონი, რომელიც ხელს შეუწყობს ძალების სწრაფ აღდგენას.

სნეულების მწვავე ფაზაში პაციენტს მადა არა აქვს. ტემპერატურის დაკლების შემდეგ საჭიროა საკვების ხშირად — დღეში 4-5-ჯერ — მიღება მცირე ულუფებით. მენიუში აქცენტი უნდა გაკეთდეს მცენარეულ საკვებზე — ახალ ბოსტნეულსა და ხილზე, რომელთა მოხმარება იმუნიტეტს ამაღლებას.

ავადმყოფობის დროს დაუშვებელია ცხიმიანი, შემწვარი, მლაშე საკვების, აგრეთვე ძეხვეულის, ალკოჰოლის, ყავისა და შოკოლადის მოხმარება.

ასევე უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაშიც, თუკი გრიპით ავადმყოფთან მოგიწიათ ურთიერთობა. ყველაზე მეტად გადამდებნი მაღალსიცხიანები არიან (თანაც, რაც უფრო მაღალია სიცხე, მით უფრო გადამდებია ავადმყოფობა), ამასთან ვირუსის გავრცელების წყაროდ კაცი კიდევ 7-10 დღის განმავლობაში რჩება. ყველაზე მეტ ხანს გადამდებნი (ორი კვირის მანძილზე) ბავშვები არიან.

თუკი ავადმყოფი სახლში გყავთ, გამუდმებით გაანიავეთ ოთახი და მტვერი სველი ტილოთი გადაწმინდეთ (რადგან მტვერში ვირუსი აქტივობას 5 კვირის მანძილზე ინარჩუნებს!) ავადმყოფს გამოუყავით ცალკე ჭურჭელი და აუცილებლად ახმარინეთ ქაღალდის ცხირსახოცები, რომლებიც შემდეგ უნდა განადუგრდეს (იმიტომ, რომ ისინიც ვირუსს ავრცელებენ).

კიდევ ერთი რჩევა გრიპის საწინააღმდეგო მედიკამენტებს ეხება. იმის მიუხედავად, რომ ამჟამად აფთიაქებში მრავალი ანტიგრიპოზული პრეპარატია, **მათი მიღება რეკომენდებულია ექიმის დანიშნულებით.** გრიპის ვირუსის ტიპის დადგენა მხოლოდ ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეშვეობით შეიძლება, ამიტომ ამის მცოდნე ექიმს გაცილებით ეფექტიანი მკურნალობის კურსის დანიშვნის შესაძლებლობა ექნება, თანაც ისიც გახსოვდეთ, რომ ეს **პრეპარატები ყველაზე ეფექტიანად ავადმყოფობის პირველი 48 საათის განმავლობაში მოქმედებენ.**

გრიპის ეპიდემიების დროს უნდა მოერიდოთ დიეტებსა და გაციებას. ისინი იმუნიტეტს აქვეითებენ და ორგანიზმის დამცველ ძალებს ასუსტებენ!

თუ გრიპთან დაკავშირებული წლევანდელი პრობლემები, რომლებსაც ჩვენს წინა პუბლიკაციებში დეტალურად განვიხილავდით, მეტ-ნაკლებად გასაგებია, თანაც ავადმყოფობის გავრცელების პიკი უკვე გავლილია, მთელი რიგი ვირუსოლოგის განცხადებით, **გაისად მოსალოდნელია ადამიანის სიცოცხლისთვის უაღრესად საშიში H2N2 ტიპის გრიპის საყოველთაო ეპიდემია.**

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოხდება ფრინველისა და ღორის გრიპის ვირუსების ჯგუფების რეკომბინაცია და რომ ახალი შტამის გავრცელება, როგორც ჩანს, ჩინეთიდან დაიწყება.

რაც შეეხება, კერძოდ, საქართველოში დღესდღეობით არსებულ ვითარებას, ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირეტორს **ამირან გამყრელიძეს:**

— ამჟამად ქვეყანაში გრიპის სეზონური დაავადების პიკი, შეილძება ითქვას, რომ გადავლილია. თუ ორი კვირის წინათ ყოველ 10 ათას კაცზე 310 მძიმე ავადმყოფი კაცი იყო, რომელთა ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო, იმის წინაშე კი — 357, გასული კვირის ბოლოს ეს მაჩვენებელი 304 კაცამდე ჩამოვიდა, — თქვა ბატონმა ამირან გამყრელიძემ. — ამასთან, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ **გრიპის საფრთხე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია, ამიტომ კიდევ რამდენიმე კვირის მანძილზე საჭიროა სიფრთხილის ყველა რეკომენდებული ზომის დაცვა,** განსაკუთრებით რისკ-ჯგუფების პირთათვის — ორსული ქალებისთვის, ბავშვებისთვის, დიაბეტით და ფილტვების სნეულებით დაავადებულთათვის, ხანდაზმულთათვის და სხვ.

რაც შეეხება გარდაცვლილებს, დღეის მდგომარეობით, ლაბორატორიულად დადასტურებლია გრიპით გამოწვეული 15 ლეტალური შემთხვევა.

გრიპის ვაქცინაციასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო ხარჯით შარშან 12 ათასი კაცი აიცრა — მათ შორის შს და თავდაცვის სამინისტროების მოსამსახურეთა ნაწილი, სასწრაფო დახმარების სამსახურის, კლინიკებისა და საოჯახო სამედიცინო ცენტრების თანამშრომლები, ხანდაზმულთა პანსიონატების ბინადარნი და სხვ. წლეულს ვაპირებთ ამ და სხვა კატეგორიების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ასაცრელთა რიცხოვნობის გაზრდას, სათანადო წინადადებებიც გვაქვს მომზადებული, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ გრიპის ვაქცინაცია არ შედის იმ 12 აუცილებელ სამედიცინო აცრაში (ვთქვათ, ყვავილი, ჩუთყვავილა და სხვ.), რომელსაც სახელმწიფო სამედიცინო სამსახური აუცილებელი წესით ატარებს. ამდენად, თითოეულმა მოქალაქემ კერძო პოლიკლინიკებს ანდა სააფთიაქო ქსელებს უნდა მიმართოს და ეს, ასე ვთქვათ, კერძო ინიციატივით უნდა გააკეთოს. გრიპისგან აცრა ან არაცრა ამ შემთხვევაში თითოეულის კერძო საქმეა. ამის გაკეთება კი მსურველებმა შემოდგომიდან უნდა დაიწყონ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

გრიპით დაავადების პროფილაქტიკის უკვე ნახსენებ ხერხებთან ერთად, მეტად ქმედითი ხერხია ვაქცინაცია, რომელიც მის ალბათობას 70 პროცენტით ამცირებს;

ყველაზე ხშირად გრიპით ერთიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები ავადდებიან;

გრიპით ავადმყოფისგან უსაფრთხო მანძილი 2-3 მეტრია;

გრიპით ავადმყოფთან მაღალი საფრთხის შემცველი პერიოდია 48 საათი. თუკი ამ დროში ავად არ გახდით, ესე იგი „გადარჩით“.

ეპიდემიის დროს გრიპით მოსახლეობის 5-15 პროცენტი ავადმყოფობს. ეპიდემიის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 3-6 კვირაა.

ავადმყოფთა 80 პროცენტი გრიპის დროს ექიმს არ მიმართავს.

◎ სკანდალი



სახიფათო ტენდენცია

დაიწყო ოლიმპიური წელი და მორიგ დოპინგ-სკანდალში გავეხვიეთ: გუშინ ბომბივით გასკდა ინფორმაცია, რომ რიოს თამაშებიდან მოკვეთა და რამდენიმეწლიანი დისკვალიფიკაცია ქართველ მოჭიდავეებს ემუქრებათ.

მართალია, პირველ ტესტზე ჩავარდნილი ექვსეულის დასახელებას ჯერჯერობით ყველა ერიდება, მაგრამ მაინც გაცხადდა, რომ ერთ-ერთი ეჭვმიტანილი მძიმეწონოსანი დავით მოძმანაშვილია, რომელიც ერთხელ ანალოგიური საბაბით უკვე იყო შერისხული და ხალიჩას ორწლიანი იძულებითი „არდადეგების“ შემდეგ შარშანწინ დაუბრუნდა.

ვიდრე ოფიციოზი კომენტარს გააკეთებს და მეორე სინჯის შედეგებს შევიტყობთ, ალბათ, ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს და როცა XXI საუკუნეში ცეცხლს ვეთამაშებით, წინასწარ შეგუებულნი უნდა ვიყოთ ასეთ ფინიშს.

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

ძაგნიძე ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება

ირანის დედაქალაქ თეირანში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის 2015-2016 წლების გათამაშების მეორე ეტაპი. შეჯიბრებაში წრიული სისტემით სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის, რომელთა შორის ორი ქართველია. განვლილ ოთხ ტურში ნანა ძაგნიძემ ორი პარტია მოიგო და ამდენივე ყაიმით დაასრულა, ხოლო ნინო ბაციაშვილს ორი ზავის წილ ამდენივე წაგება აქვს. ტურების მიხედვით გაუწყებთ მეტოქეთა შეხვედრების შედეგებს:

I ტური. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) ნინო ბაციაშვილი (საქართველო) 0.5:0.5, ჟაო სიუე (ჩინეთი) — ჰამპი კონერუ (ინდოეთი) 0:1, ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — ვალენტინა გუნინა (რუსეთი) 1:0, ნანა ძაგნიძე (საქართველო) — სარასადათ ხადემალშერიხი (ირანი) 0.5:0.5, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) — ნატალია პოგონინა (რუსეთი) 0:1, პია კრამლინგი (შვედეთი) — ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) 0:1.

II ტური. ბაციაშვილი — ვენძიუნი 0.5:0.5, პოგონინა — კრამლინგი 1:0, ხადემალშერიხი — დრონავალი 0.5:0.5, გუნინა — ძაგნიძე 0:1, კონერუ — ჟუკოვა 0.5:0.5, სტეფანოვა — ჟაო სიუე (ჩინეთი) 0.5:0.5.

III ტური. ჟაო სიუე-ბაციაშვილი 1:0, დაზავდნენ: ჟუკოვა-სტეფანოვა, ძაგნიძე-კონერუ, დრონავალი-გუნინა, კრამლინგი-ხადემალშერიხი, ვენძიუნი-პოგონინა.

IV ტური. ბაციაშვილი — პოგონინა 0:1, ხადემალშერიხი-ვენძიუნი 0.5:0.5, გუნინა — კრამლინგი 1:0, კონერუ-დრონავალი 0.5:0.5, სტეფანოვა-ძაგნიძე 0:1, ჟაო სიუე — ჟუკოვა 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ: პოგონინა — 3.5, ძაგნიძე — 3, ვენძიუნი, კონერუ, ჟაო სიუე — 2.5-2.5, ჟუკოვა, ხადემალშერიხი — 2-2, სტეფანოვა, დრონავალი, გუნინა — 1.5-1.5, ბაციაშვილი — 1, კრამლინგი — 0.5 ქულა.

მოჭადრაკეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს ითამაშებენ: ჟუკოვა — ბაციაშვილი, ძაგნიძე — ჟაო სიუე, დრონავალი — სტეფანოვა, კრამლინგი — კონერუ, ვენძიუნი — გუნინა, პოგონინა — ხადემალშერიხი.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

მეორე ადგილს დასჯერდა

ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა ანტალიაში გამართულ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში — ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია. მათ ზედიზედ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს. მეოთხედფინალში ქვაცაბაიამ ფრანგი ჟოზეფინ ბუალე დაამარცხა — 7:6, 6:3, ხოლო გორგოძე სომეხ ანი ამირაგიანს პირველ სეტში 5:3-ს უგებდა, როცა მეტოქემ ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ნახევარფინალი კი გორგოძემ ვერ დაასრულა თანამემამულე ქვაცაბაიასთან — შეჯიბრებას პირველ სეტში 3:4-ზე გამოეთიშა. ტურნირის გადამწყვეტი პაექრობა ქვაცაბაიამ ანა შეფერთან (გერმანია) წააგო — 3:6, 1:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

თამაზ პატარაია

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნები“ ჭრაღიციას არ ღალატობენ

ლისაბონი. ერთა თასი
პორტუგალია-საქართველო 3:29

პორტუგალია: **პედრუ ბეტანკური (ნუნუ ბეტანკური, 56), ნუნუ სოუზა-გედეში, ჟოზე მარია ვარეტა, მანუელ ვილელა (ფრანსისკუ აპლეტონი, 60), ტომაზ ნორონია, ტომაზ აპლეტონი, ფრანსისკუ მაგალიაიში, ბრუნუ მედეირუში (ჟოზე კონდე, 52), დუარტე დინიზი (მაიკ ტაჯერი, 48), ბრუნუ როშა (ფრანსისკუ დომინგეში, 52), ლუიშ სერკინიუ (სალვადორ ვასალუ, 60), გონსალუ უვა (დიოგუ ფან დენ ტორნი, 52), მაშიმ ვაზი (ვოლოდიმირ გრიხი, 60), მიგელ მასედუ, ლუიშ პურტელა.**

საჯარიმო: **სოუზა.**

საქართველო: **მერაბ კვირიკაშვილი (გიორგი აფციაური, 68), თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე (ლაშა მალაღურაძე, 56), ვასილ ლობჟანიძე, (გიორგი ბეგაძე, 59), მიხეილ ნარიაშვილი (კახა ასიეშვილი, 54), შალვა მამუკაშვილი (ზურაბ ჟვანია, 23), დუდუ ქუბრიაშვილი (ანტონ ფეიქრიშვილი, 54), გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე (ვახტანგ მაისურაძე, 54), შალვა სუთიაშვილი, გიორგი თხილაიშვილი (ფეიქრიშვილი, 15-22, ბექა გორგაძე, 60), ლაშა ლომიძე.**

4 ლელო: **თხილაიშვილი, კვირიკაშვილი, ჟვანია, შარიქაძე;** 3 გარდასახვა, 1 საჯარიმო: **კვირიკაშვილი.**

მსაჯი: **იენ დევისი (უელსი).**

ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა მეორე ტურის შეხვედრა ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან გამართა. „ბორჯღალოსნებს“ მასპინძლებთან 2005 წლის შემდეგ არ წაუგიათ, ამიტომ გასულ შაბათსაც ისინი გამარჯვების წყურვილით გავიდნენ მოედანზე. თან მილტონ ჰეიგმა საპაექროდ გამოცდილი გუნდი გაიყვანა, „ლობუშების“ რიგებში კი მრავლად ითამაშეს ახალგაზრდებმა. ისე, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენებსაც იგივე გაეკეთებინათ.

მართალია, წვიმიან-ქარიანი ამინდი მორაგბეებს ხელს უშლიდა, ხშირი იყო შეცდომებიც, მაგრამ მატჩი მაინც საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ორმხრივი იერიშების მიუხედავად, ანგარიში მხოლოდ მე-20 წუთზე გაიხსნა — ზუსტი საჯარიმო დარტყმით თავისი გუნდი მერაბ კვირიკაშვილმა დააწინაურა — 3:0. ორიოდე წუთში ნუნუ სოუზამ საჯარიმო დარტყმითვე წონასწორობა აღადგინა. მას შემდეგ, რაც 33-ე წუთზე გიორგი თხილაიშვილმა პირველი ლელო მიითვალა, საქართველოს ნაკრებმა ხელთ იგდო ინიციატივა და საბოლოოდ 29:3 გაიმარჯვა, თან ოთხი ლელოს გატანისთვის პრემიული ქულაც დაიმსახურა.

მომდევნო ტურში „ბორჯღალოსნები“ 27 თებერვალს თბილისში, ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ.

II ტური. რუსეთი-გერმანია 46:20, ესპანეთი-რუმინეთი 18:21.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ (პ)
1. საქართველო	2	2	0	0	+88	10 (2)
2. რუსეთი	2	2	0	0	+28	9 (1)
3. რუმინეთი	2	2	0	0	+28	9 (1)
4. ესპანეთი	2	0	0	2	-5	2 (2)
5. პორტუგალია	2	0	0	2	-51	0 (0)
6. გერმანია	2	0	0	2	-78	0 (0)

III ტური

27 თებერვალი. საქართველო — ესპანეთი, რუმინეთი — რუსეთი, გერმანია — პორტუგალია.

* * *

6 ერის თასი. II ტური. საფრანგეთი — ირლანდია 10:9, იტალია — ინგლისი 9:40, უელსი — შოტლანდია 20:17.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „იუვენტუსი“ — „ნაპოლი“ 1:0, „ფიორენტინა“ — „ინტერი“ 2:1, „მილანი“ — „ჯენოა“ 2:1.

ესპანეთი. „ბარსელონა“ — „სელტა“ 6:1, „ხეტაფე“ — „ატლეტიკო“ 0:1, „რეალი“ — „ბილბაო“ 4:2.

ინგლისი. „არსენალი“ — „ლესტერი“ 2:1, „სიტი“ — „ტოტენჰემი“ 1:2, „ჩელსი“ — „ნიუკასლი“ 6:1.

გერმანია. „აუგსბურგი“ — „ბაიერნი“ 1:3, „ბორუსია“ — „ჰანოვერი“ 1:0, „მაინცი“ — „შალკე“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

აქეთურ-იქითური

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩს პირველად უმასპინძლა კანადამ — როგორც უკვე გაუწყეთ, ზაზა ფაჩულიას მცირედი დააკლდა, რომ, ქართველთაგან პირველს, გუშინ ტორონტოში სეზონის ლაურეატთა შოუში მიეღო მონაწილეობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „დასავლეთის“ გუნდმა, უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ამჯერადაც დაჯაბნა აღმოსავლეთელი მეტოქეები — 196:173. ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ლიგის მოქმედი ჩემპიონისა და წლევანდელი ტურნირის მთავარი ფავორიტის „გოლდენ სტეიტის“ ლიდერებმა — სტეფ კარიმ და კლეი ტომპსონმა, დამარცხებულთაგან კი „ოკლაჰომას“ სნაიპერმა რასელ ვესტბრუკმა გაიბრწყინა.

დავძენთ, რომ ჩატენვების კონკურსში ზაკ ლივაინმა (მინესოტა“) აჯობა ყველას, ხოლო სამქულიანებში — ტომპსონმა.

* * *

ვთბ გაერთიანებული ლიგის მეოცე ტურში „ვითა“ ძალიან ახლოს იყო პირველ გამარჯვებასთან, მაგრამ...

„ვითა“ — „კალევი“ (ტალინი) 77:78.

მასპინძლები წივწივაძე, ანიკიენკომ და ჩლაიძემ დააღალატეს, რითაც წყალში ჩაიყარა ვეტერანი ამერიკელი ცენტრის ომარ თომასის შედეგიანი გარჯა (28 ქულა). აღსანიშნავია, რომ სტუმართა ღირსებას ესტონეთის ეროვნული ნაკრების ოთხი წევრი იცავს.

ვიტალი ჯაფარიძე

ხსოვნა

აკადემიკოსი ბაჩანა ბრეგვაძე

გამოჩენილი მეცნიერი, დიდებული მოქალაქე და პიროვნება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა შესანიშნავი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე პიროვნება, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსი **ბაჩანა ბრეგვაძე**.

აკადემიკოსი ბაჩანა ბრეგვაძე მსოფლიოს პოეტური და ფილოსოფიური შედევრების ცნობილი მთარგმნელი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფიის ისტორიკოსი, 120-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 55 წიგნის ავტორია. იგი თარგმნიდა ძველი ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური და რუსული ენებიდან. ბ-ნი ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანებით ეზიარა ქართველი საზოგადოება პლატონის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას თითქმის სრული სახით, ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიურ წიგნებს, არისტოტელეს „პოეტიკას“, ევრიპიდეს „მედეას“, დანტესა და მიქელანჯელოს პოეზიას და მსოფლიოს ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვა მრავალ შედევრს. იგი არა მარტო შესანიშნავი მთარგმნელია, არამედ მის მიერ ქართულად ამეტყველებული ტექსტების ღრმა მკვლევარი, ამიტომაც მის თარგმანებზე დართულ გამოკვლევებსა და კომენტარებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეცნიერული აზრის განვითარებაში. ბ-ნი ბაჩანა ბრეგვაძის დახვეწილი ქართული დიდად ამდიდრებს ქართულ მთარგმნელობით ტრადიციას.

2011-2012 წლებში დაისტამბა მისი მეცნიერული ნარკვევების ოთხტომეული, რაც დიდი შენაძენია ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის. იგი მრავალმხრივ არის საყურადღებო, განსაკუთრებით კი ნარკვევით – „პლატონი და რუსთაველი“, რომელიც ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რევაზ სირაძემ არა მარტო რუსთველოლოგიის, არამედ საერთოდ ქართული მეცნიერების წარმატებად მიიჩნია.

აკად. ბ. ბრეგვაძის ორიგინალური მეცნიერული მემკვიდრეობა ფილოსოფიის ისტორიის მიმართულებით ძირითადად შემდეგ სფეროებად შეიძლება დაიყოს: თავისუფალი ფილოსოფიური ნარკვევები, რომლებიც თავიანთი სტილითა და პრობლემის კვლევის მასშტაბურობით ფუნდამენტური ხასიათისაა. ანტიკური ფილოსოფია, პლატონის ფილოსოფია, ძველი რომაელი მოაზროვნეები, რუსთაველის ფილოსოფიის ანტიკური წყაროები, აღორძინების ხელოვნება და პოეზია, ევროპის ახალი ეპოქის ფილოსოფია.

აკად. ბ. ბრეგვაძის სახით ქართველ ფილოსოფოსთა და, საზოგადოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას ჰყავდა ერუდიტი მეცნიერი, ბრწყინვალე მთარგმნელი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ლიტერატურული სტილით და ესთეტიზმით. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი საზოგადოების განსწავლულობაში, ევროპულ მხატვრულ კულტურასა და აზროვნებასთან ზიარებაში. ამ დამსახურებისთვის ქართული მეცნიერებისა და მწერლობის წინაშე მას სხვადასხვა დროს მიენიჭა ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, საბას და დავით აღმაშენებლის პრემიები. იგი ორგზისაა დაჯილდოებული საქართველოს ღირსების ორდენით.

აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი დაუვიწყარი დარჩება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და მთელი ქართველი საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა
293–37–87
მაჩაბლის ქ. №7.

სანთელი

პეტრე მერაბიშვილი

სახელოვანი მეცნიერის ნათელ ხსოვნას

ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 80 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, ახალგაზრდობის მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, ქართული ელექტროტექნიკური სკოლის თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს საინჟინრო, საერთაშორისო ელექტროტექნიკური, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიების ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პეტრე მერაბიშვილი**.

გამოგვაკლდა ჭეშმარიტი ინტელიგენტი, კაცთმოყვარე და უკეთილშობილესი ადამიანი, რომელსაც თავისი შეგნებული მოღვაწეობისას არც ერთი დღე არ უცხოვრია ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ფიქრის გარეშე.

მთელი მისი ბიოგრაფია, მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული ღვაწლის დადასტურებაა.

ბატონმა პეტრემ სახელოვნად განვლო გზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტობიდან აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის მიერ დაარსებული უმდიდრესი ტრადიციების მქონე ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგის მაღალ თანამდებობამდე.

პეტრე მერაბიშვილის მოღვაწეობა გასული საუკუნის 60-70 წლებში ქ. მოსკოვის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებში უაღრესად ნაყოფიერი იყო. არაწრფივი ნახევარგამტარიანი ვენტილური წრედების თეორიაში გაწეული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა ვენტილური გარდამქნელებიანი წრედების ანალიზის ორიგინალური სპექტრალურ-ოპერატორული მეთოდი, რომელიც სამეცნიერო ელექტროტექნიკურ ლიტერატურაში პ. მერაბიშვილის მეთოდის სახელითაა ცნობილი.

მისი მონოგრაფიები „გარდამავალი ელექტრომაგნიტური პროცესები არაწრფივ ვენტილურ სისტემებში“ და „გარდამავალი პროცესების თეორია ვენტილურ გარდამქნელებიან წრედებში“ ახალგაზრდა მეცნიერებისა და სპეციალისტების სამაგიდო წიგნებია.

1982 წლიდან ბატონმა პეტრემ მჭიდროდ დაუკავშირა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სათავეში ჩაუდგა რა „ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის“ კათედრას, უდიდესი ღვაწლი დასდო ამ კათედრის სასწავლო ლაბორატორიული ბაზის განახლებისა და განვითარების საქმეს.

ფასდაუდებელია პეტრე მერაბიშვილის ღვაწლი სამეცნიერო კადრების აღზრდის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ელექტროტექნიკის სამეცნიერო საბჭომ პ. მერაბიშვილის თავმჯდომარეობით დიდი დახმარება გაუწია ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს შემდგომ მეცნიერულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაცია. იგი 130-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია, რომლებიც დაბეჭდილია აშშ-ის, გერმანიის, ჩინეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ელექტროტექნიკურ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გაწეული თავდადებული შრომისათვის ღვაწლმოსილი მეცნიერი 1995 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით, 2003 წელს – ღირსების ორდენით, ხოლო 2005 წელს – ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – გიორგი ნიკოლაძის მედლით.

ბატონი პეტრე შესანიშნავი ოჯახის თავკაცი გახლდათ. მეუღლე ქალბატონი იზოლდა, ვაჟიშვილები თეიმურაზი და ლევანი ღირსეულად გააგრძელებენ მერაბიშვილების ძირძველი საგვარეულოს სახელოვან ტრადიციებს.

ბატონი პეტრე წავიდა ჩვენგან, როგორც ვალმოხდილი ქვეყნისა და ერის წინაშე, მის სახელსა და ნაღვაწს დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა, როგორც თავის რჩეულსა და საამაყო წარმომადგენელს, ღირსეულ ადამიანსა და პიროვნებას, დიდ მეცნიერსა და ინჟინერს, მოწოდებით პედაგოგსა და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდ მეგობარს, ჭეშმარიტ ინტელიგენტსა და მამულიშვილს.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს ზეციურ საქართველოში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

ხსოვნა

მერაბ ჯიბლაძე

მერაბ ჯიბლაძე დაიბადა 1941 წელს ქ. თბილისში. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1964-1967 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტი, სადაც ნობელის პრემიის ლაურეატის ალექსანდრე პროხოროვის ხელმძღვანელობით შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1989 წელს მოსკოვის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია.

1974 წლიდან დღემდე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ფიზიკის ფაკულტეტზე დააარსა სპეციალიზაცია „ლაზერების ფიზიკა“ და „ქვანტური ელექტრონიკის“ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

2010 წლიდან დღემდე ბ-ნი მერაბ ჯიბლაძე მოწვეულ პროფესორად მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში, სადაც სტუდენტებთან ერთად იკვლევდა შავი ზღვის გოგირდ-წყალბადის ამოღების პრობლემას; პარალელურად დაამუშავა ატომის ბირთვის კლასტერული მოდელი.

1991-1992 წლებში იყო საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე უმაღლესი განათლების დარგში.

გამოქვეყნებული აქვს 170-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის, სახელმძღვანელო „ზოგადი ფიზიკა“ და 11 მონოგრაფია. არის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1993 წელს არჩეული იყო ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრად.

პროფესორ მერაბ ჯიბლაძეს, ღირსეულ ადამიანსა და პიროვნებას, თვალსაჩინო მეცნიერსა და მკვლევარს, ჭეშმარიტ ინტელიგენტსა და მამულიშვილს დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგთი MAGTI

4G LTE

ისარგებლეთ თქვენი 4G ტელეფონის შესაძლებლობათა მაქსიმუმით!

მაგთიკომმა საქართველოში საუკეთესო მე-4 თაობის ქსელი გამართა, რათა კიდევ უფრო სწრაფი მობილური ინტერნეტმომსახურებით უზრუნველყოს საკუთარი მომხმარებელი: კომპანიამ ყველა 4G სადგურზე ორჯერ გაზარდა მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის.
დღეისათვის მაგთიკომს, საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზრდილი სიჩქარეც დაემატა, რის შედეგადაც მომხმარებელი მაგთიკომისგან იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.

იმისათვის, რომ ისარგებლოთ მაგთიკომის ქსელის ყველა უპირატესობით, აუცილებელია, თქვენს მეოთხე თაობის სმარტფონში მოთავსებული იყოს ახალი თაობის 4G სიმ-ბარათი.

თუ ჯერ არ გამოგიცვლიათ ბარათი, ნუ გადადებთ!
მობრძანდით მაგთის ნებისმიერ ოფისში, შეცვალეთ სიმ-ბარათი და მიიღეთ უსწრაფესი ინტერნეტი და მომსახურების საუკეთესო ხარისხი.

www.magticom.ge

11 00 11 ნებისმიერი ქსელიდან
მაგთიკომის ქსელიდან ზარი უფასოა

◎ წარდგინება

ამაზე კარგი რა უნდა ყოფილიყო...

„იყო და არა იყო რა“ — უამრავი ქვეყნის ზღაპრები წამიკითხავს, მაგრამ მხოლოდ მადლიანი ქართული ზღაპრები იწყება ასე. ვისთვის იყო, ვისთვის კი — არა. ზოგისთვის —ლამაზი სიზმარი, ყველაზე უფრო საარწმუნო, ვისთვის კი მხოლოდ მონაგონი და მითი. ქალბატონი დალი შარუხიასთვის ეს ბრძნული, „იყო და არა იყო რა“ სათქმელის, მისწრაფებების, დიდი სიყვარულით განცდილი ბედნიერების ანარეკლია და ამიტომაც თავის გულის ამონათქვამებს, რომლებიც პაწაწინა ლექსებად ჩამორაკრაკდება, წარუმძღვარა კიდეც. წარუმძღვარამეთქი ვამბობ რადგან, თავისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ის ბრძნული შეგონება, რომ „ყველა ქართველი პოეტია და ქართველი პოეტი — ორჯერ პოეტი“, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავის პაწაწკინტელა წიგნში, რომელიც ახლობელთა წაქეზებითა და დახმარებით გამოამზეურა. გამოამზეურა მათთვის, ვინც უყვარს, ვინც იცის, თუ როგორი სასოებითა და ფაქიზი გულის კარნახით იწერებოდა ეს ლექსები წლების განმავლობაში. დიახ, სწორედ მათთვის ვინც „თავისიანია“, ამიტომაც მორიდებით დაამატა კიდეც წინასიტყვაობაში — პოეტობაზე პრეტენზია არა მაქვს, ეს ჩემი გულისთქმის გარემიქსებულ-გალექსებული ვარიანტებიაო.

ჩემმა აწ გარდაცვლილმა მეგობარმა შესანიშნავმა პოეტმა ლაშა გახარიამ ბრძანა —**„პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალიო“...** ერთი ლექსია, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება ვისია, არასოდეს არ ამოდის მახსოვრობიდან, არასოდეს შეგეშლება სხვა პოეტებში. ვკითხულობ ამ პატარა წიგნს სევდით, სიყვარულით, იმედით, რწმენით, ყოველდღიური ფიქრით გაჯერებულს და სულ არ მაინტერესებს რითმები, ზომა, მეტრი, რადგან ყოველი მათგანი შენია, შენი ნაფიქრია და როდესაც იტყვი, რომ ეს ხომ მეც შემეძლო, დამეწერა, რადგან ჩემი გულისთქმაა, მაშინ მიხვდები, რომ ამ პაწაწკინტელა ლექსებმა შენს სულში დაივანა, გონებიდან აღარ ამოვა და... მერე რამდენიც არ უნდა გიმტკიცოს პოეტმა „ჩემთვის ვწერდიო“, აღარ დაიჯერებ, რადგან უკვე შენთვისაც დაწერა, შენც აგაფორიაქა და იმ სამყაროში გადაგისროლა, რომელიც მხოლოდ თავისად მიაჩნდა.

აბა, ნახეთ, როგორია ქალბატონ დალის „1962 წლის სევდიანი სერენადა“:

ამ წელს ჩამოდიოდნენ
ჩვენთვის ციდან ღმერთები
გაქრნენ წლები, შენ არ ხარ!
მე?
მე უღმერთოდ... ვბერდები.

ანდაც:

მე გაპატიე,
მაგრამ სადღაც,
უპატიებლის პატიება,
მაკრთობს და მზარავს.
არსაპატიებლის პატიება
არ შეიძლება,
არა და არა!
ღმერთი მოწყალეა,
იმან შეგინდოს,
მე, ვერ გაპატიებ,
რა ვქნა!

აი, ორი პაწაწკინტელა ლექსი დაგაჭაშნიკებინეთ **„იყო... არა იყო რა“**-დან, ახლა თქვენ განსაჯეთ, თავისთვის წერს დალი შარუხია, თუ?...

„იყო... არა იყო რა“-ო, არადა ამაზე კარგი რა უნდა ყოფილიყო?!...

მამუკა ვაშაკიძე

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მოუშე, შეგიძლია, რომ მეგობარს ასესხო, ვთქვათ, 1000 დოლარი?
— მეგობრისთვის, ცხადია, შემიძლია სესხება, მაგრამ სად ნახავ დღეს მეგობრებს?

* * *

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს.
— როგორაა შენი ქმარი?
— ოი, რა ბედნიერი ვარ! დაქორწინების დღიდან ერთხელაც არ გვიჩხუბია.
ნეტავი მეორე დღეც ასევე მშვიდობიანად ჩაივლიდეს!

* * *

ლიფტში შევარდნილი მამაკაცი იდაყვით მკერდზე შეეხო გვერდით მდგომ ქალს.
— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ თუ თქვენ ისეთივე რბილი და ფაფუკი გული გაქვთ, როგორიც მკერდი, მაშინ შეუდარებელი ყოფილხართ.
— გმადლობთ! თქვენ კი თუ ყველაფერი იდაყვივით მაგარი გაქვთ, იცოდეთ, რომ 30-ე ბინაში ვცხოვრობ.

* * *

— სად მიგეჩქარება ასე ძალიან სამსახურიდან?
— სახლში! სადილი მაქვს მოსამზადებელი.
— შენი ცოლი რა, სამსახურშია?
— არა, სახლშია...
— ავადაა?
— არა, უბრალოდ ისე გასუქდა, სამზარეულოს კარში ვეღარ ეტევა.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!